პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 37 (19179) ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1984 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ დიდი ორგანიზატორული მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის და სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების რეალიზაციის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად 1984 წელს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

1984 წელს ერთობრივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 1983 წელთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 7 პროცენტით. რესპუბლიკის მრეწველობამ, ცვრსებითი სიძნელეების მიუხედავად, შეასრულა სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლიური დავალება შესაბამისად 102,6 და 102,2 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების მოცულობა 1983 წლის დონესთან შედარებით გაიზარდა 6,3 პროცენტით, მაშინ როდესაც საწარმოთა გეგმების ჩამოყალიბებული ჯამის მიხედვით ზრდის ტემპი 103,3 პროცენტს შეადგენდა. ამაღლდა წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დონე, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

დადებითი შედეგებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა თითქმის ყველა ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტისა და ნედლეულის დამზადების გეგმები. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპმა ხუთწლედის საშუალოდ პირველ სამ წელიწადში მიღწეულთან შედარებით 109,2 პროცენტი შეადგინა.

გარკვეული წარმატებანია მიღწეული კაპიტალურ მშენებლობაში.

სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების დაჩქარებული განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა წარმოების ეფექტიანობის არსებითი ამაღლება. რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების უმრავლესობამ წარმატებით შეასრულა შრომის ნაყოფიერების დამატებით გადიდების სოციალისტური ვალდებულებანი.

თანამიმდევრულად ხორციელდებოდა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დასახული პროგრამა. რესპუბლიკის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ხელფასმა მიაღწია 161 მანეთს, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ — 132 მანეთს. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1984 წელს გაიზარდა 4 პროცენტით.

1984 წელს გრძელდებოდა სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფა, ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელება რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებში, აგრეთვე ელექტროტექნიკური მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის საწარმოებსა და გაერთიანებებში.

ამავე დროს 1984 წელს სახალხო მეურნეობაში კლავინდებურად იყო ზოგიერთი სიძნელე და ნაკლი, რის გამო ცალკეული საწარმოები, დარგები და რეგიონები ჩამორჩნენ მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში. ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის ცალკეულ დარგებში.

მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები საკმარისად არ მუშაობენ შესაბამისი რეგიონების ეკონომიკის მყარი განვითარებისა და სოციალური ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

რესპუბლიკის მთავრობამ დაავალა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1984 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებებისა და დასკვნების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მიმდინარე წლის საგეგმო დავალებანი და შრომითი კოლექტივების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ საჭიროა მთლიანად 1981–1985 წლების მანძილზე მიაღწიონ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დონეზე — 130 პროცენტს, წარმატებით შეასრულონ სხვა უმნიშვნელოვანესი დავალებანი და შექმნან მეთორმეტე ხუთწლედში ეკონომიკისა და კულტურის შეუნელებელი განვითარების წანამძღვრები და ამით ღირსეულად შეეგებონ სკკპ XXVII ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს.

მინისტრთა საბჭომ განიხილა საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები.

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებულია 103 პროცენტით.

შემოსავლის გეგმა შესრულებულია ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ყველა ბიუჯეტის მიხედვით.

საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილი წინასწარი მონაცემებით, შესრულებულია 102,2 პროცენტით.

საქართველოს სსრ 1984 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოფხვრისა და მეთერთმეტე ხუთწლედის საბოლოო წლის საგეგმო დავალებათა რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახა შესაბამისი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა აგრეთვე 1984 წელს საქართველოს სსრ სახსამთოტექნიკურზედამხედველობის კომიტეტის კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ტექნიკური უსაფრთხოების, შრომის დაცვისა და საწარმოო ტრავმატიზმის მდგომარეობა. აღინიშნა, რომ შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საქმეთა ვითარება მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, ძირითადად ქვანახშირის, სამთამადნო, მეტალურგიულ, ქიმიურ მრეწველობაში, გაზის მეურნეობაში, ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახა რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა. (საქინფორმი).

გავაუმჯობესოთ რესურსების აღრიცხვა

ПРАВДА

12 თებერვლის მოწინავე

წარმოების მასშტაბის ზრდის კვალობაზე იზრდება აგრეთვე მოთხოვნილება მატერიალურ, შრომით, ფინანსურ რესურსებზე, სათბობსა და ენერგიაზე. მატულობს აგრეთვე აუცილებლობა ეკონომიურად ვხარჯოთ ისინი. ჩამოაყალიბა რა ხუთწლედის მიმდინარე წლისათვის სამეურნეო მშენებლობის ამოცანები, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მოგვიწოდა „კონკრეტულად და ენერგიულად ვეძებოთ ადგილებზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, სხვადასხვაგვარი ზენორმატიული მარაგის, არასაწარმოო ხარჯების შემცირების გზები“.

რესურსების ეკონომიური ხარჯვა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა მათი აღრიცხვის კარგ ორგანიზაციას. და, მაშასადამე, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო სამსახურების მუშაობის სრულყოფას. ქვეყანაში ამ სამსახურების ორ მილიონ ორასი ათასზე მეტი მუშაკია. ბოლო წლებში განხორციელდა საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის მთელი რიგი ღონისძიებანი. წვრილი, დაქსაქსული სამსახურების ნაცვლად შექმნილია ცენტრალიზებული ბუღალტერიები, ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცემა მანქანასაღრიცხვო სადგურებსა და გამოთვლით ცენტრებს.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომობს აღრიცხვის ბევრი მუშაკი, რომლებიც სანიმუშოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. მათ შორისაა მოსკოვის გაერთიანება „წითელი პროლეტარის“ მთავარი ბუღალტერი ა. ემელიანოვა, მისი კოლეგა კრასნოუფიმსკის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში ზ. სოხარევა, მინსკის საათის ქარხნის მთავარი ბუღალტერი ვ. ზაპოტილოკი და მრავალი სხვა. მათ სანიმუშოდ მოაგვარეს საქმე, ღრმად აანალიზებენ ეკონომიკურ პროცესებს საწარმოებში, ზრდიან აღრიცხვის სიზუსტესა და ოპერატიულობას.

საბუღალტრო სამსახურების მუშაობა კარგად არის მოგვარებული იქ, სადაც აღრიცხვის სრულყოფის პირობები ნიადაგ ყურადღების ცენტრში აქვთ პარტიულ ორგანიზაციებს. სასარგებლო გამოცდილება შეიძინეს საქართველოში. კერძოდ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე გაიმართა საყურადღებო სჯა-ბაასი საწარმოებსა და მშენებლობებზე აღრიცხვის სრულყოფის შესახებ. პლენუმის მომზადების დროს საქალაქო კომიტეტმა სთხოვა აღრიცხვის მუშაკებს წამოეყენებინათ წინადადებანი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს რესურსების დაზოგვა, ბოლო მოეღოს წამატებებს. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მოეწყო კრებები, რომლებზეც განიხილეს ეს საკითხები. გაიმართა პარტიული აქტივის მუშაკთა შეხვედრები ბუღალტრებთან, საამქროების, უბნების უფროსებთან. ქალაქის 120 საწარმოსა და ორგანიზაციაში შეამოწმეს პირველადი აღრიცხვის მდგომარეობა, დასახეს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ნედლეულის, მასალებისა და სხვა სახეობის რესურსების ხარჯვის არსებით გაუმჯობესებას.

როგორც სარედაქციო ფოსტა მოწმობს, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების აღრიცხვის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი ხერიოზული ხარვეზია. მრავალ საწარმოში ცუდად არის მოგვარებული ნედლეულისა და მასალების პირველადი აღრიცხვა, ვაგონებით მიღებულ ტვირთს ხშირად არ წონიან შესაბამისი სასწორებისა და სხვა საზომი ხელსაწყოების უქონლობის გამო. ხშირად მოუვლელია სასაწყობო მეურნეობა, მასალები ღია ცის ქვეშ ყრია და ფუჭდება. საამქროებში არ ბყოფნით გაზის, წყლის, შეკუმშული ჰაერის, სითბური ენერგიის ხარჯვის განმსაზღვრელი ხელსაწყოები. ახეთი მდგომარეობა შეიქმნა კოსტრომის, ტულის, როსტოვისა და სხვა ოლქების, უზბეკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკების მთელ რიგ ქარხნებში და მშენებლობებზე.

ბოლო წლების მანძილზე ქარხნების საწყობებსა და მომარაგების ორგანოებში საგრძნობლად გაიზარდა მასალების, მაკომპლექტებელი ნაწარმისა და მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგი. ეს ხდება იმის გამო, რომ სუსტად არის ერთმანეთთან დაკავშირებული წარმოებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გეგმები. მეორე მიზეზი ის არის, რომ ყოველთვის როდი იცინებენ ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ეკონომიკურად დასაბუთებულ ნორმებს, რაც იწვევს ხელოვნურად გადიდებულ განაცხადებს. მოცულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას გამოდევნებული ზოგიერთი საწარმო უშვებს შეუკვეთავ პროდუქციას, რომელზეც არ არის მოთხოვნა და ამიტომ იგი საწყობებში ხვავდება.

ჩვეულებრივ, ამგვარი ნაკლოვანებებია იქ, სადაც არ არის ორგანიზებული მკაცრი ეფექტიანი კონტროლი საწარმოო და მომარაგება-გასაღების სამსახურების მუშაობისადმი, სადაც საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სამეურნეო ანგარიშის გაღრმავებას, ცდილობენ ხელთ იგდონ რაც შეიძლება მეტი რესურსები. ახეთი მიდგომის წინააღმდეგ უფრო გაბედულად უნდა გაილაშქრონ მთავარმა ბუღალტრებმა. მოქმედი დებულების მიხედვით მათ უფლება აქვთ ხელმძღვანელებს მოსთხოვონ სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი გამოყენება, რესურსების ხარჯვის ხელოვნურად გადიდებული და მოძველებული ნორმების გადასინჯვა, წარმოების, მომსახურებისა და მართვის საჭიროებებისათვის მათი ხარჯების ზუსტი დასაბუთება.

ბუღალტრის მუშაობა მოითხოვს განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებას, სიზუსტეს, აკურატულობას, პროფესიულ კომპეტენტურობას. ბუღალტერმა უნდა იცოდეს სამოქალაქო, შრომითი, ადმინისტრაციული და საფინანსო კანონმდებლობის საფუძვლები, დარგის ეკონომიკა, სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის, დაფინანსებისა და ანალიზის პრინციპები. კვლავაც უნდა გავაფართოოთ აღრიცხვის სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. ბოლო ათ წელიწადში უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალობით „საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი“ მიღება ერთნახევარჯერ გაიზარდა. მაგრამ საწარმოებში მთავარი ბუღალტრების მნიშვნელოვან რაოდენობას ჯერ კიდევ არა აქვს უმაღლესი განათლება, აღრიცხვის მუშაკთა შორის დიდია პრაქტიკოსთა პროცენტი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა კვლავაც განვამტკიცოთ ახალგაზრდების შორის ბუღალტრის პროფესიის პრესტიჟი. ამისათვის ბევრის გაკეთება შეუძლიათ და უნდა გააკეთონ კიდეც ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებმა. უფრო ხშირად და უფრო მკაფიოდ უნდა გაშუქონ პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში აღრიცხვის მუშაკთა რთული და ძალზე საჭირო შრომა, საუკეთესო სპეციალისტთა გამოცდილება.

საღრიცხვო სამსახურების მშრომელები ფხიზლად დგანან სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე, დიდი წვლილი შეაქვთ სახალხო დოვლათის გამრავლებასა და მომჭირნე ხარჯვაში. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სისტემატურად გააანალიზონ და გაავრცელონ აღრიცხვის ორგანიზაციის საუკეთესო გამოცდილება საწარმოებში, მშენებლობებზე და დაწესებულებებში, კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ კოლექტივებში შეჯიბრება იმისათვის, რომ წელიწადში სულ ცოტა ორ დღეს დაზოგილი მასალებით იმუშაონ. ამასთან უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ წარმოების იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების დაზოგვისათვის.

ყოველმხრივ ვაუმჯობესებდეთ აღრიცხვასა და კონტროლს ნიშნავს ვუძღვებოდეთ მეურნეობას უფრო რაციონალურად, განუხრელად ვამცირებდეთ პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულებას, წარმატებით ვასრულებდეთ სახელმწიფო ხარჯებს მინიმალური დანახარჯებით.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის მოლაპარაკება

12 თებერვალს კრემლში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვისა და საბერძნეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ა. პაპანდრეუს მოლაპარაკება.

ორმხრივი ურთიერთობის საკითხების განხილვის დროს აღინიშნა, რომ წარმატებით სრულდება სსრ კავშირ-საბერძნეთის ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, სხვა ორმხრივი შეთანხმებანი. მტკიცდება დიდი მასშტაბისა და გრძელვადიანი პროექტების განხორციელების ტენდენცია. მიღწეულია შეთანხმება განახლდეს მოლაპარაკება საბერძნეთში საბჭოთა კავშირიდან ბუნებრივი გაზის მიწოდებისათვის გაზსადენის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ. დაადასტურეს, რომ ორივე მხარეს განზრახული აქვს ხელი შეუწყონ ერთმანეთთან ვაჭრობის მოცულობის გადიდებას და მეტი შეწონასწორების მიღწევას. მოლაპარაკების მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის, კულტურული კავშირურთიერთობის, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის, სავაჭრო ნაოსნობის დარგში საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის შერეული კომისიების საქმიანობა.

მხარეებმა განაგრძეს საერთაშორისო საკითხების განხილვა. ამასთან ძირითადი ყურადღება მიაპყრეს საქმის მდგომარეობას ევროპის კონტინენტზე. ნდობის, უშიშროებისა და განიარაღების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ სტოკჰოლმის კონფერენციის წარმატება შესამჩნევი წვლილი იქნებოდა ევროპაში ვითარების გაჯანსაღებაში სრულიად ევროპის პროცესის გაგრძელებაში.

ნ. ა. ტიხონოვმა და ა. პაპანდრეუმ მოითხოვეს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები გადაიქცეს მყარი მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად.

სსრ კავშირი და საბერძნეთი მოითხოვენ კვიპროსის პრობლემის მტკიცე და სამართლიან გადაწყვეტას კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ერთიანობისა და მიუმხრობლობის პოლიტიკის უთუო პატივისცემის საფუძველზე.

მთავრობათა მეთაურებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ამ მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, რომელიც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და არსებულ ისტორიულ ტრადიციებს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკების შედეგების შესახებ გამოაქვეყნებენ ერთობლივ კომუნიკეს.

* * *

იმავე დღეს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის ერთობლივ დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის ოქმს კონსულტაციების შესახებ და შეთანხმებას სსრ კავშირიდან რეპატრიირებული ბერძენი პოლიტემიგრანტების საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სხვა საკითხების მოწესრიგების თაობაზე ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით — საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ხარალამბოპულოსმა.

ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებას საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ და მემორანდუმს 1986–1990 წლებში სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საბერძნეთის სავაჭრო ფლოტის სამინისტროს თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

ხელმოწერას დაესწრნენ ნ. ა. ტიხონოვი და ა. პაპანდრეუ. (საქტესი).

ეძღვნება დიდი გამარჯვების 40 წლისთავს

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში და თბილისის მხატვრის სახლში გახსნილია საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც გამარჯვების 40 წლისთავს ეძღვნება.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი ექსპონატი — „გამარჯვება“. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზ. გოგოლაშვილი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ ჟორჟ მარშეს

ძვირფასო ამხანაგო ჟ. მარშე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის საპატიო პოსტზე ხელახლა არჩევას.

საფრანგეთის კომპარტიის XXV ყრილობა დიდი მოვლენა გახდა თქვენი პარტიის, საფრანგეთის მშრომელი ხალხის ცხოვრებაში, განსაზღვრა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის უპირველესი ამოცანები.

გულითადად ვიგონებ შეხვედრებს, საფრანგეთის კომუნისტებთან და პირადად თქვენთან, გისურვებთ თქვენ და თქვენს ამხანაგებს პოლიტბიუროში, საფრანგეთის კომპარტიის მთელ ხელახლა არჩეულ ხელმძღვანელობას დიდ წარმატებებს დასახული მიზნების განხორციელებაში.

კომუნისტური სალმით

კ. ჩერნენკო.

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გზით

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს წიგნი „განვითარებული სოციალიზმის გზით“. მასში შესულია 1984 წლის თებერვლიდან განვლილი პერიოდის გამოსვლები, სტატიები და სხვა მასალები.

წიგნი იწყება ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვით 1984 წლის 13 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე. გამოცემის მასალებში ასახულია გასული წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემდგომ შემოქმედებით განვითარებაზე, ისინი მოიცავენ კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ფართო სპექტრს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი აღმშენებლობითი საქმიანობა, პარტიის მიერ სკკპ XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით ამ პერიოდში მიღებული დიდი მასშტაბის ღონისძიებანი მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების შემდგომ გადიდებას, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ახალი ადამიანის აღზრდას, დაუცხრომელ ბრძოლას თერმობირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, მყარი მშვიდობისათვის მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის.

პარტიის შემდგომი საქმიანობისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წამოყენებულ ფუძემდებელ თეორიულ დასკვნებს ჩვენი საზოგადოების მიერ მიღწეულ სოციალური სიმწიფის დონესთან დაკავშირებით, იმის თაობაზე, რომ ვიდრე გადავწყვეტთ უშუალოდ კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებულ ამოცანებს, უნდა გავიაროთ განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი.

წიგნში დიდი ადგილი უკავია საბჭოთა ეკონომიკის განვითარების, მომწიფებული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში პარტიის როლის გადიდების საკითხებს. დიდი მასშტაბის საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო პრობლემები წამოაყენა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ თავის სიტყვებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის, აპრილისა და ოქტომბრის პლენუმებზე, 1984 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე და იმავე წლის აპრილში სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის მომზადების საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიის სხდომაზე, სტატიაში „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე. სკკპ თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა“. წიგნში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ეტაპზე პარტიის ხელმძღვანელი როლი გაიზრდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

წიგნში ღრმად არის გაშუქებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მრავალმხრივი საქმიანობა ხალხის მასების აქტივიზაციის იმ ქმედითი რეზერვების ამოქმედებისათვის, რომლებსაც შეიცავს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა. ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა.

განიხილავს რა პარტიის იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის დონისა და ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს, ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის იდეა საფუძვლად უნდა დაედოს არა მარტო თეორიულ, არამედ მთელ პროპაგანდისტულ, აღმზრდელობითს მუშაობას.

წიგნში მკაფიოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს აქტიური, შეტევითი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა. იგი ნაჩვენებია პარტიის საშინაო პოლიტიკასთან, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის უზრუნველყოფისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან ურღვევი ერთიანობით.

წიგნი გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ და იგი დაბეჭდილია მოსკოვის სტამბაში „კრასნი პროლეტარი“. (საქტესი).

ერთგულად ვემსახუროთ ხალხს

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. ვ. შჩერბიცკისთან

მაღალი პოლიტიკური აღმავლობა, დაძაბული შრომითი რიტმი სუფევს ინდუსტრიული დნეპროძერჟინსკის შრომით კოლექტივებში. მეტალურგები, ქიმიკოსები, მშენებლები, ტრანსპორტისა და სხვა დარგების მუშაკები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. ეს ითქვა 12 თებერვალს დნეპროძერჟინსკში გამართულ დნეპროპეტროვსკის ოლქის ბაგლეის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრაზე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკისთან.

დიდი აღმავლობით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ორჯონიკიძის სახელობის კოქსქიმიური ქარხნის მეაპარატემ ლ. რ. კომაროვმა ილაპარაკა ვ. ვ. შჩერბიცკის ცხოვრების გზის, შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ, მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ერთგულ მამულიშვილებს, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შემდეგ საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ოპერატორმა ს. ა. ტკაჩენკომ, დნეპრისპირეთის ქიმიური ქარხნის დირექტორმა ი. თ. კოროვინმა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს ექიმმა — ქირურგმა ვ. ნ. კარპენკომ და სხვებმა აღნიშნეს მიღწევები, რომლებითაც ხვდებიან ქალაქის შრომითი კოლექტივები არჩევნებს, ილაპარაკეს სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი დამატებითი სოციალისტური ვალდებულებების შესახებ. მათ თქვეს, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, იწონებენ მის პრაქტიკულ საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებისათვის.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. შჩერბიცკიმ, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი. მადლობა გადაიხადა რა დიდი პატივისა და ნდობისათვის — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებისათვის, მან აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიისათვის არა არის რა იმაზე უფრო მაღალი მიზანი, ვიდრე ერთგულად ემსახუროს ხალხის ინტერესებს, დაუცხრომლად იზრუნოს მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ახლანდელი საარჩევნო კამპანიის თავისებურება ის არის, რომ იგი იმართება პარტიისა და მთელი ხალხის ცხოვრებაში ნამდვილად ისტორიული მოვლენის — სკკპ XXVII ყრილობისათვის უშუალო მზადების პერიოდში. ყრილობა მიიღებს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, რომელიც განსაზღვრავს პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკას განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში, დასახავს პარტიისა და ხალხის აღმშენებლობითი საქმიანობის გეგმებს მომავალი ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის.

ახლანდელი არჩევნების წელი დიდი დღესასწაულის — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის წელია. ყოველივე ეს განსაკუთრებულ პატრიოტულ აღმავლობას აღვიძებს როგორც საარჩევნო კამპანიას, ისე აგრეთვე მრავალმხრივ მუშაობას მიმდინარე წლის გეგმების და დავალებების შესრულებისათვის.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებისათვის მზადება, თქვა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა, ეს რა თქმა უნდა, საერთო სახალხო დათვალიერებაცაა, და არჩევნებს შორის პერიოდში ყოველივე გაკეთებულის, მიღწეულის მომთხოვნი შეფასებაც. და თუ აღვნიშნავთ გასული ხუთი წლის მთავარ შედეგს — ეს არის ჩვენი ხალხის გულდაჯერებული წინსვლა კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გზით, სოციალისტური საზოგადოების შემდგომი ყოველმხრივი განვითარების გზით. ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მძლავრი გახდა, საბჭოთა ადამიანები კი უფრო შეძლებულად ცხოვრობენ, სულიერად კიდევ უფრო გამდიდრდნენ.

ვ. ვ. შჩერბიცკიმ ილაპარაკა წინა არჩევნების შემდეგ პერიოდში რესპუბლიკის მშრომელთა მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე. ეროვნული შემოსავალი, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ეს მთავარი მაჩვენებელი, 21 პროცენტით გაიზარდა. ხუთ წელიწადში გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 5,6 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, ამასთან მის ნახევარს შეადგენს ფართო მოხმარების საქონელი. უმჯობესდება საქმე ინდუსტრიის საბაზო დარგებში, კაპიტალურ მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ბევრი რამ გაკეთდა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისათვის.

პარტიის აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების კურსის განხორციელების მეოხებით იზრდება, თუმცა არა ისეთი ტემპით, როგორიც სასურველია, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ავდრის მიუხედავად, შარშან რესპუბლიკაში მიიღეს ყველაზე დიდი მოცულობის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია.

ეკონომიკის განვითარებაში მიღწევები საშუალებას იძლევა წარმატებით გადაიჭრას სოციალური ამოცანები. ხუთწლედის დამდეგიდან საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის რეალური შემოსავალი, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან განაცემები და შეღავათები. დღნიადაგ უმჯობესდება ჩვენი ადამიანების საბინაო პირობები. ყოველწლიურად რესპუბლიკაში ახალმოსახლეობას ზეიმობს დაახლოებით მილიონ-ნახევარი მოქალაქე. ცოტა როდი გაკეთდა აგრეთვე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარებისათვის.

1984 წლის შედეგებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის უკრაინის სს რესპუბლიკა, რვა ოლქი და ქალაქი კიევი, 60 ქალაქი და რაიონი, მათ შორის დნეპროპეტროვსკიც, მრავალი გაერთიანება, საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

მთავარ ამოცანად ის გვესახება, თქვა ორატორმა, რომ არა მარტო დავამკვიდროთ, არამედ ვამრავლოთ კიდეც დადებითი ტენდენციები ეკონომიკის განვითარებაში, ყველაფერი ვიღონოთ, რათა წარმატებით შევასრულოთ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმები. იმისათვის, რომ მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უწინარეს ყოვლისა, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები და დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა.

ვ. ვ. შჩერბიცკი შეეხო საერთაშორისო ვითარების ზოგიერთ აქტუალურ საკითხს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურმა მშვიდობისმოყვარულმა საგარეო პოლიტიკამ, თქვა მან, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ჩვენი სახელმწიფოს სამშვიდობო ინიციატივების აზრი გასაგები და ახლობელია ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, იგი შეესაბამება ყველა ხალხის მისწრაფებებს.

დასასრულ დეპუტატობის კანდიდატმა განაცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა უზადოდ შეასრულოს თავისი მოვალეობა პარტიისა და ხალხის წინაშე, გაამართლოს ამომრჩეველთა მაღალი ნდობა. (საქტესი).

პარტიული ცხოვრება: იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა

პ ი რ ა დ ი მ ა გ ა ლ ი თ ი თ

ყოველმხრივ სრულყოფილი ადამიანის აღსაზრდელად ზუსტი რეცეპტის გამოწერა შეუძლებელია, მაგრამ ერთი რამ კი უეჭველი ჭეშმარიტებაა: საზოგადოების ყველა წევრი უნდა იზრდებოდეს და ცხოვრობდეს საქმიან ატმოსფეროში. პრაქტიკულად როგორ უნდა მივაღწიოთ, რომ რაც შეიძლება ჯანსაღი ხელისკვეთებით აღიზარდოს ჩვენი ახალგაზრდა თაობა, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, რა როლი უნდა შეასრულოს ამ საშვილიშვილო საქმეში თითოეულმა ჩვენგანმა, საზოგადოებამ, კოლექტივმა? ამაზე მსჯელობენ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მე-8 საამქროს ხარატთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტრიფონ როსტიაშვილი და ჟურნალისტი შ. გულუა.

— ნათქვამია თითოეული ჩვენგანი ბავშვობიდან მოდისო. ესე იგი განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ატმოსფეროში უხდება ყმაწვილს ცხოვრება, იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს იწყება პიროვნების ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი. თქვენი აზრით, ამხანაგო ტრიფონ, რა არის ამ დროს მთავარი, რა მომენტები განსაზღვრავს ძირითადად ამ პროცესს. პირადად თქვენს მაგალითზე ვთქვათ, რამ შეასრულა გადამწყვეტი როლი თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაში?

— გულწრფელად ვიტყვი, ბავშვობის გახსენება ჩემთვის ძნელია. იგი დიდი სამამულო ომის უმძიმეს წლებს დაემთხვა. მამა ფრონტზე იბრძოდა, დედა კოლმეურნეობაში მუშაობდა, ორი კაცის სამუშაოს ასრულებდა. გვიჭირდა. თუმცა მაშინ ვის არ უჭირდა... ვცხოვრობდით დუშეთის რაიონის სოფელ პავლეურში.

ომი რომ დამთავრდა, ბევრი რამ შეიცვალა, მამა დაბრუნდა და ყველაფერი, როგორც იტყვიან, თავისი რიგით წავიდა. ჩვენს ოჯახში გამეფებული იყო შრომის კულტი. ასე მზრდიდნენ მეც. ახლაც, თუმცაღა ისინი უკვე ხანდაზმულები არიან, ისევ კოლმეურნეობაში მუშაობენ.

მარტო შრომის კი არა, ზნეკეთილობის პირველი ნათელი მაგალითებიც სწორედ მშობლებისაგან მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური განათლება არც ერთს არა აქვს, ურიგოდ არ ერკვევიან ცხოვრებისეულ მოვლენებში. დღემდე მახსოვს მამის შეგონება: ყველგან და ყოველთვის პატივი ეცი, შვილო, ადამიანის ღირსებას, არც სხვას შეულახო ის და არც შენი შეურაცხყოფის უფლება მისცე ვინმეს. დედა დაუმატებდა ხოლმე: ყველგან და ყველასთან წესიერი, ალალმართალი, თავაზიანი იყავიო. მათ სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ თავად იყვნენ იმის მაგალითის მიმცემნი, რასაც ამბობდნენ.

— მშობლების გარდა, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც ბაძავდით ჭაბუკობის წლებში და რომელთა მაგალითიც დაგეხმარათ ცხოვრებაში?

— ქარხანაში 38-ე ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვედი. თავიდანვე კარგი ადამიანების წრეში მოვხვდი. წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე ანდრია კანატოპოვმა. მაშინ იგი საამქროს პარტბიუროს მდივანი იყო. ჩინებული მოქალაქე, სპეტაკი კომუნისტი, მაღალკვალიფიციური მუშა და დიდებული მეოჯახე გახლდათ. ასეთები სხვებიც ბევრნი იყვნენ. მათ შორის თავისი საქმის კარგი ოსტატები — მუშები მიხეილ ოვსეპიანი, ნიკოლოზ კოსტენკო. მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მუშაკაცის იდეალი. ისინი მასწავლიდნენ ხელობას, მეხმარებოდნენ ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებაში. მათთან ურთიერთობა დიდ ძალას მმატებდა. თუ რვა საათზე ვიწყებდით მუშაობას, ისინი შვიდ საათზე უკვე საამქროში იყვნენ.

მათ დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე. მაგალითს მაძლევდა ქარხნის ყოფილი დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი იაკობ ხვედელიანი. იგი ნიჭიერი ორგანიზატორი, საუკეთესო პიროვნება გახლდათ, რომელთანაც ურთიერთობა ბევრისმომცემი იყო.

— ამგვარ ზეგავლენას მართლაც დიდი ძალა აქვს. დიდია კოლექტიური შემოქმედების პოტენციალიც. თქვენი აზრით, რა როლი შეუძლია შეასრულოს პარტიულმა ორგანიზაციამ ახალგაზრდობის აღზრდაში, მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში? და, საერთოდ, რა არის პარტორგანიზაციის ძლიერების წყარო?

— უეჭველია, პარტორგანიზაციის ძლიერების წყარო მისი თითოეული წევრის აქტიურობა და მებრძოლურობაა. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ყოველი კომუნისტის ძლიერება პარტიული ორგანიზაციის ორგანიზებულობიდან მომდინარეობს. ჩვენს პარტორგანიზაციაში დიდ როლს ვანიჭებთ ადამიანებთან ინდივიდუალურ მუშაობას. ამიტომ ფართოდ არის გაშლილი სადამრიგებლო მუშაობა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, ყურადღება თითოეული საინტერესო მოსაზრების, ცოცხალი აზრის, ინიციატივისადმი. ახლა, მაგალითად, ახალი თაოსნობა იშვა, რომლის მიზანია ღირსეულად, ახალი შრომითი მიღწევებით შევეგებოთ სკკპ XXVII ყრილობას! საამისოდ კომუნისტების ვახტანგ კუბლაშვილის და მისი ბრიგადის წევრების ინიციატივით ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

ჩემი ბრიგადის ყველა წევრი საქმიანად გამოეხმაურა ახალ თაოსნობას, ჩვენ გადავწყვიტეთ ყრილობამდე დეტალების დამუშავების კიდევ ოცდახუთი ოპერაცია გადავიტანოთ პროგრამული მართვის ჩარხებზე, კიდევ სამ ახალგაზრდას შევასწავლოთ ხარატობა, რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით გეგმის გადაჭარბებით დავზოგოთ ათას ხუთასი მანეთი და მრავალი სხვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნამ, რომ ყველა კომუნისტი აღმზრდელი უნდა იყოს, კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი პარტორგანიზაციის, მისი თითოეული წევრის როლი და დანიშნულება. პარტიის ვეტერანების თაოსნობით ახალი ძალით გაიშალა მუშაობა წარმოების ყველა უბანზე, საამქროსა და განყოფილებაში კოლექტივის წევრთა შრომითი და იდეურ-პოლიტიკური წრთობისათვის. ამან კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი მუშათა ძველ და ახალ თაობებს შორის, გააღრმავა საქვეყნო საქმეში თანადგომის, ურთიერთდახმარების ტენდენციები.

—ახალგაზრდის, და არა მარტო ახალგაზრდის, საზოგადოდ ადამიანის ბედნიერება მის მოთხოვნილებებზეც არის დამოკიდებული. შესაძლებელია თუ არა ახალგაზრდას თავიდანვე ვასწავლოთ თავისი სურვილების და მისწრაფებების ერთგვარი მართვა? და თუ შესაძლებელია, როგორ?

— განა დასამალია, რომ ზოგს ბედნიერება მდიდრულად, ფუფუნებით, განცხრომით ცხოვრება ჰგონია. ადამიანთა ერთი ნაწილის შეხედულებით, ბედნიერია ის, ვინც ნაკლებს მუშაობს და მეტს იღებს. ჩემი აზრით კი, ბედნიერია ის, ვინც ყოველ თავის ნაბიჯს, მოქმედებას, მისწრაფებას საზოგადოებას უფარდებს. ჩვენ ყველა ხომ საზოგადოების წევრები ვართ და სხვაგვარი უფლება არცა გვაქვს.

ბედნიერია ისიც, ვისაც ძალა შესწევს საზოგადოებისაგან არ მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე თავად ქმნის მისთვის. უდიდესი ბედნიერებაა ისიც, რომ გაქვს ნიჭი, უნარი, ენერგია, სურვილი, მისწრაფება და შეგიძლია ყველაფერი ეს მოახმარო სამშობლოს წინსვლას. ამ თვისებების გამომუშავებაში ახალგაზრდებს ჩვენ, უფროსი თაობა უნდა დავეხმაროთ. მე მოგახსენეთ, რომ ჩემი მშობლების განსაკუთრებით იმიტომ მწამდა, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთი იყო, რომ მათ ჰქონდათ უფლება, მორალური უფლება მაქვს მხედველობაში, მოეთხოვათ ჩვენთვის. გახსოვთ, როგორ თქვა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ ჟურნალ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში „აღვზარდოთ ახალგაზრდობა პირადი მაგალითით": „ყოველ კომუნისტს უნდა ჰქონდეს მორალური უფლება მოსთხოვოს ახალგაზრდობას ზნეობრივი სისპეტაკე, თორემ თვით ეს მოთხოვნა ამორალური ხდება". ასეა. თუ თავად არ უჩვენებ იმის მაგალითს, რასაც სხვას სთხოვ, არც უფლება გაქვს მოითხოვო. ეს უნდა იყოს ამოსავალი დებულება ახალგაზრდობის პრობლემებისადმი ჩვენი დამოკიდებულებისა, საერთოდ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა.

იმავე სტატიაში წერია: „ახალგაზრდობას პოლიტიკურ კულტურას რომ ვუნერგავთ, ნიადაგ უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ ყოველ ახალგაზრდას სრულად ჰქონდეს გაცნობიერებული პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ერთიანობა". და თუ ამას მივაღწევთ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ რთულ და პასუხსაგებ სფეროში ჩვენი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

ხელმძღვანელი კადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში დამთავრდა მორიგი ნაკადის სწავლება. მსმენელები იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მეორე მდივნები, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც განაგებენ სოფლის მეურნეობის საკითხებს, აგრეთვე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეთა პირველი მოადგილეები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც კურატორობენ სოფლის მეურნეობის დარგებს, წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის ხელმძღვანელი მუშაკები.

მსმენელებმა შეისწავლეს განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა მიხედვით პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური საკითხები, სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პრობლემები, თანამედროვე ეტაპზე პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის საკითხები.

მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მეთოდებს, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, შრომითი, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამასთან საგანგებო ყურადღება დაეთმო საკითხებსა და პრობლემებს, რომლებიც აღძრა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ სტატიაში „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე".

სასწავლო პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო სწავლების აქტიურ ფორმებს: გასვლითს და პრაქტიკულ მეცადინეობებს, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ათვისებას, სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის პრობლემებზე გამოცდილების გაზიარებას, „მრგვალ მაგიდასთან" საუბრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით.

მსმენელების მიერ წარმოდგენილი სადიპლომო ნამუშევრები და რეფერატები შეიცავს საინტერესო, კონკრეტულ წინადადებებს აგროსამრეწველო კომპლექსის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, რეზერვების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით მელიორირებული მიწების რაციონალური გამოყენების შესახებ.

მსმენელთა რეფერატებში განხილულია აგრეთვე პარტიული დისციპლინისა და შინაპარტიული დემოკრატიის, სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესრულების, იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები და სხვა. ზოგიერთი სადიპლომო ნამუშევრები და რეფერატები რეკომენდებულია გამოქვეყნებისა და მათში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

ბოლო მეცადინეობაზე მსმენელებს შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

საუბრები გამართეს, ლექცია-მოხსენებებით მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ჭითანავა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები გ. ზ. ბარსუკოვი, ლ. ლ. ზაქაიძე, ა. ი. კავსაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, რესპუბლიკის მინისტრები თ. ქ. ჯაბადარი, მ. მ. ქაჯაია, რ. ჰ. კონცელიძე, ბ. ზ. მაყაშვილი, ა. ო. მოვსესიანი, „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე ქ. ნ. შავიშვილი, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის, რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები.

საქართველოს მეზღვაურთა ამოცანები

საქართველოს მეზღვაურები ღირსეულად ატარებენ სამშობლოს დროშას მსოფლიო ოკეანის ყველა განედზე. გემების ექსპლოატაციაში სტაბილურ წარმატებებს და ჩინებულ მაჩვენებლებს აღწევენ ტანკერების „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის", „გენერალ მერკვილაძის", „ქერჩის", „ხერსონის", „სამტრედიის", „ნადეჟდა კურჩენკოსა" და სხვების ეკიპაჟები. სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დიადი გამარჯვების 40 წლისთავისა და სტახანოვური მოძრაობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროს საქართველოს საზღვაო სანაოსნო სატრანსპორტო ფლოტმა გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის მეოთხე წლის საკაბოტაჟო და საზღვარგარეთ ტვირთზიდვის გეგმა.

ეს ითქვა ბათუმში გამართულ სანაოსნოს პარტიული აქტივის კრებაზე. მომხსენებელმა — სანაოსნოს უფროსმა გ. ჩიგვარიამ და კამათის მონაწილეებმა, განიხილეს კოლექტივის 1984 წლის საწარმოო საქმიანობის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.

აქტივის კრებამ კონკრეტული ღონისძიებები დასახა, რათა მეზღვაურები და დოკერები დარაზმონ პარტიულ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი და სამეურნეო-ორგანიზაციული ხასიათის კონკრეტული ღონისძიებების, მთლიანად ხუთწლედისა და მისი დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის.

აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი.

(საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით მწერალი სურენ გიორგის ძე **აჩიანი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. კონსტანტინე გიორგის ძე **ახვლედიანი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

კერძომესაკუთრეობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის

გურამ ენუქიძის

პასუხი გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტის კითხვებზე

კითხვა: პატივცემულო ამხანაგო გურამ! 1979 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, საზოგადოებრივი აზრი ოპტიმისტურად აფასებდა ჩვენს რესპუბლიკაში კერძომესაკუთრული, მომხვეჭელური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის პერსპექტივას. ხუთი წლის შემდეგ, 1984 წლის ივნისში, იდეოლოგიურ მუშაკთა III რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე თქვენ აღნიშნეთ, რომ „...რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრს მიაღწია ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების დაძლევაში. მაგრამ დღეს მაინც არ ვართ კმაყოფილი ამ ბრძოლის სიმძაფრით".

თქვენი ეს გამონათქვამი ხომ არ ნიშნავს, რომ განვლილ წლებში ვერ მოხერხდა ჩანაფიქრის სრულად განხორციელება, ან იქნებ ჩანაფიქრშივე არ იყო ყველაფერი გათვალისწინებული?

პასუხი: არც ერთი და არც მეორე. მეტი სიცხადისათვის საჭიროა ყურადღებით გავადევნოთ თვალი მთელ განვლილ გზას და ამის საფუძველზე შევაფასოთ შედეგები. საქმე ეხება არა მარტო ბოლო ხუთწლეულს, არამედ იმ პერიოდს, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირეული გარდაქმნებით იწყება. ამ გარდაქმნებს საფუძველი დაუდო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ცნობილმა დადგენილებამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და დამკვიდრებისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესისათვის მიუღებელი ნეგატიური მოვლენების დასაძლევად საქართველოს პარტორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა.

გავიხსენოთ, დადგენილების მიღებამდე ანტისაზოგადოებრივ მოვლენებთან ბრძოლის შესუსტებამ ორი ათწლეულის მანძილზე რა ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ჩვენში კარიერიზმის, მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სხვა მსგავსი ანომალიების მოძალებას.

ნეგატიურმა მოვლენებმა, რომლებიც სულ ახალ-ახალი ფორმით იჩენდა თავს, ხელი დარია რესპუბლიკის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: არალეგალური მეწარმეობა იქნებოდა ეს, თუ უმაღლეს სასწავლებლებში ადგილებითა და დიპლომებით ვაჭრობა, წარმოებაში წვრილმანი დატაცება, თუ ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის ფასდაუდებელი საგნების მითვისება, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოძალვა, თუ ზოგიერთი ხელმძღვანელისათვის სასურველი პირის „თბილ ადგილზე" მოწყობა.

ასეთნაირად დღენიადაგ ირღვეოდა სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი — ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის, მისი შრომის ოდენობისა და ხარისხის უცილობელი თანაფარდობა, რაც, ამავე დროს, უარყოფითად მოქმედებდა ადამიანის ფსიქოლოგიაზე, საზოგადოებრივ შეგნებაზე, სულიერ ღირებულებებზე.

დადგენილების შემდგომ პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ძალისხმევამ, საბრძოლო სულისკვეთებამ და ჭეშმარიტად შემოქმედებითმა საქმიანობამ იმთავითვე გამოიღო სასიკეთო ნაყოფი. უკვე 1976 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებები.

დღეს განვლილი დროის პრიზმით უფრო ნათლად გამოიკვეთა ჩვენი მიღწევები. გაძლიერდა ეკონომიკა. 1972 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 2,2-ჯერ, სოფლის მეურნეობისა — 1,8-ჯერ, ერთი-ორად და მეტად გაიზარდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ეროვნულმა შემოსავალმა იმატა 2,2-ჯერ და მეტად, რეალურმა შემოსავალმა კი ერთ სულ მოსახლეზე — თითქმის 1,7-ჯერ; ასევე თითქმის ორჯერ გაიზარდა კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები და ა. შ.

თუ ამ მიღწევებისათვის ბოლო წლებში რესპუბლიკა ზედიზედ თორმეტჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ამას საფუძვლად უდევს არა მარტო ჩვენი მშრომელების მამულიშვილური ენთუზიაზმი, არამედ ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისა და მართვის ძირეული გარდაქმნა და, რაც მთავარია, ჩვენი საზოგადოების სულიერ და ზნეობრივ ცხოვრებაში მომხდარი პრინციპული გარდატეხები.

ბოლო წლების ჩვენი მიღწევები ორგანულად უკავშირდება საქართველოს კომუნისტთა ნაყოფიერ საქმიანობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, სოციალისტური დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მასების მოქალაქეობრივი შეგნების, შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის გაზრდისათვის. კ. მარქსი ამბობდა: „თუ ადამიანის ხასიათს აყალიბებენ გარემოებანი, მაშასადამე, ეს გარემოებანი უფრო ადამიანური უნდა გავხადოთ". სწორედ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, ამოცანა ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისა, რომელიც, ამხ. კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „კომუნისტური მშენებლობის არა მარტო უმნიშვნელოვანესი მიზანი, არამედ აუცილებელი პირობაც არის".

დღეს, შეიძლება ითქვას, დაჯერებული ნაბიჯით მივდივართ რესპუბლიკის ცხოვრებაში მაღალი ზნეობრივ-პოლიტიკური იდეალების, სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ სულიერ ღირებულებათა აღდგენისა და დამკვიდრების მიზნისაკენ.

ნათქვამი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ნეგატიურ მოვლენებს მოვუღეთ ბოლო, რომ კერძომესაკუთრულ, მომხვეჭელურ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლას დასრულებულად ვაცხადებთ. გულუბრყვილობა იქნებოდა პრობლემის ასე გაუბრალოება. ჩვენ არც თავიდან გვქონია მსგავსი ილუზიები.

მაგრამ ცხადზე ცხადია და, არ შეიძლება არ დაინახო, რომ წარსულის ფონზე შემცირდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ისეთი გამოვლინებანი, როგორიც არის სოციალისტური საკუთრების დიდი რაოდენობით დატაცება, მექრთამეობა, რომელთაც უწინ, შეიძლება ითქვას, აშკარა ხასიათი ჰქონდათ, ველარ ზოგინობს ძველებურად პროტექციონიზმი; სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული ბიუროკრატიზმსა და კარიერიზმს და ა. შ. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი და ნიშანდობლივია არა მარტო აღნიშნულ გამოვლინებათა წრის შევიწროება, არამედ მათ მიმართ ადამიანების, მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულების მკვეთრად შეცვლა. ის, რაც წინათ, ალბათ, უყურადღებოდ დარჩებოდა, დღეს საზოგადოების გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს.

ამგვარად განწყობილ საზოგადოებაში, ბუნებრივია, საქმოსანი, მექრთამე, სპეკულიანტი ველარ გრძნობს თავს არხეინად. არადა, ხომ იყო დრო, როცა საზოგადოება მათ ხშირად ზურგს არ აქცევდა, ოჯახებსა და გამოსაჩენ ადგილებში ფართოდ ჰქონდათ ღიაბული კარი, ამიტომაც ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება ის არის, რომ ზემოაღნიშნული ვითარება, კერძომესაკუთრული ტენდენციების მაშინდელი მასშტაბი განვლილი ეტაპია. მექრთამეებთან და მომხვეჭელებთან სიახლოვე და მეგობრობა, მით უმეტეს მათი მხარდაჭერა და მფარველობა ახლა ერთეული, კერძო გამოვლინებაა, რომელსაც გავრცობილის, დამახასიათებლის ნიშანთვისება ჩამოსცილდა. ამ ახალ ეტაპზე ახალი ამოცანებია და მათი გადაწყვეტა ახლებურ მიდგომას მოითხოვს.

როგორ გვესახება კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევისათვის შემდგომი ბრძოლა?

თავისი ბუნებით იგი კვლავაც უკომპრომისო და შეტევითი უნდა იყოს, გაშლილი ფრონტით უნდა წარიმართოს. ამავე დროს, საჭიროა უფრო ღრმად, საფუძვლიანად შევისწავლოთ ამა თუ იმ ტიპური გამოვლენის სათავე, დავადგინოთ მისი მასაზრდოებელი ფაქტორები, გავრცელების ყველაზე დამახასიათებელი, ნიშანდობლივი ფორმები და არხები. ეს რთული და მრავალმხრივი პრობლემაა, როგორც მრავალსახოვანია თავად კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გამოვლინებანი. ამიტომ, როგორც ე. ა. შევარდნაძემ ბრძანა, იგი უნდა განვიხილოთ სხვადასხვა ასპექტით — „ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური და ფილოსოფიურითაც კი".

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერულად დასაბუთებული, კომპლექსური მიდგომა უნდა გახდეს კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის განმსაზღვრელი ხაზი.

კითხვა: ხომ არ შეეხებოდით ზოგადად მაინც კერძომესაკუთრული და მომხვეჭელური მისწრაფებების გამოვლინებათა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს?

პასუხი: კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყოველ დროსა და ყველა ეტაპზე კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ-ორგანიზატორული, იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. იგი დღეს როდი იშვა; მომხვეჭელობასთან, როგორც ბოროტებასთან, მარადიული ბრძოლა მოიცავს ადამიანის ზნეობრივი ევოლუციის მთელ ისტორიას. ეს პრობლემა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, იყო რეაქციულ ძალებთან პროგრესული აზრისა და კულტურის ზნეობრივ-სულიერი ბრძოლის ღერძი კაცობრიობის ისტორიის ყველა ეპოქაში — ანტიკური ხანიდან დღევანდლამდე. აი, რას წერდა ამის შესახებ, მაგალითად, ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში ძველი რომაელი მოაზროვნე: „ანგარება უხშობს ადამიანს ყველაზე სანუკვარ გრძნობებს — სამშობლოს, ოჯახის, სიკეთისა და სიწმინდის სიყვარულს". უკვდავი რუსთაველი გავიხსენოთ, რომლისთვისაც „სიძუნწე უმეცრულია", და არა მომხვეჭელი, არამედ გამცემი განასახიერებს ადამიანურ კეთილშობილებას.

ეს შორეულ წარსულს განეკუთვნება, მაგრამ როგორღა იქმნება ანალოგიური ტენდენციები სოციალიზმის დროს, მის თანამედროვე პირობებში?

„გოთას პროგრამის კრიტიკაში" კ. მარქსი წერდა, რომ „ახალი საზოგადოება გამოდის სწორედ კაპიტალისტური საზოგადოებიდან... და ამიტომ ყოველმხრივ, ეკონომიკური, ზნეობრივი და გონებრივი თვალსაზრისით ინარჩუნებს იმ ძველი საზოგადოების თანდაყოლილ ლაქებს, რომლისგანაც იგი გამოვიდა".

ისიც ცხადია, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება თავის განვითარებაში უსწრებს საზოგადოებრივ ცნობიერებას, და თუ ჩვენ შედარებით იოლად დავძლიეთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული ეკონომიკური ტვირთი, ადამიანის შეგნებაში, ზნე-ჩვეულებებსა და მიდრეკილებებში მისი გადმონაშთების აღმოფხვრა გაცილებით ხანიერი და საძნელო პროცესია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „დაწესებულება შეიძლება მარჯვე შემთხვევაში ერთბაშად დაამსხვრიო, ჩვეულებას ვერასდროს, ვერავითარ მარჯვე შემთხვევაში ერთბაშად ვერ დაამსხვრევ".

სოციალისტურ საზოგადოებაში კერძომესაკუთრულ ტენდენციებს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური საყრდენი არ უნდა გააჩნდეთ. დღეს ისინი ძირითადად წარსულის მავნე გადმონაშთის სახით იჩენენ თავს და საბოლოოდ ამოიძირკვებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც განვახორციელებთ კომუნისტური საზოგადოების მთავარ პრინციპს— „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით".

რომ ვამბობ, ძირითადად-მეთქი, იგულისხმება, რომ განვითარებულ სოციალიზმსაც აქვს თავისი წინააღმდეგობანი, პრობლემები, რომელთა დაძლევასაც ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება (სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ სრულყოფის პეროდს). მაგრამ თანამედროვე პირობებში, განვითარებული სოციალიზმის დღევანდელ ეტაპზე კი, როდესაც მოქმედებს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იქმნება, როცა საზოგადოების გარკვეული ნაწილის მზარდი მატერიალური მოთხოვნილებანი არ შეესაბამება მათი საკუთარი შრომის ნაყოფს, შრომისა და მოთხოვნილების საზომთა ერთგვარი შეუსაბამობა არ უნდა იწვევდეს წვრილბურჟუაზიულ, მეშჩანურ ინდივიდუალიზმს, სოციალისტური საზოგადოების სულიერ ღირებულებათა გაუფასურებას, რაც სათავეს კაპიტალისტური ცხოვრების წესისათვის ნიშანდობლივი მომხმარებლური ფსიქოლოგიიდან იღებს.

ჩვენ ვაღიარებთ, რომ სწორი არ იქნებოდა კერძომესაკუთრული ტენდენციების ფესვები მხოლოდ წარსულის გადმონაშთებში გვეძებნა. გულუბრყვილობაა იმის მტკიცება, რომ ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიც არის წამატება, უკანონო პროდუქციის წარმოება, დეფიციტური საქონლით იატაკქვეშა ვაჭრობა თითქოს კაპიტალიზმის დროინდელი იყოს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სოციალიზმის პირობებში წარმოიქმნა, თუმცა, არსებითად, იგი ძველი და დამპალი ფესვის ახალი ამონაყარი უფროა.

ამდენად, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ეტაპზეც კი გამორიცხული არ არის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ წარსულის გადმონაშთის, კერძომესაკუთრული, მომხვეჭელური ინსტინქტის გაღვიძებას. ასეთი პირობები კი იქმნება სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური მართვის შეცდომების შედეგად, ანუ, როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ, სუბიექტური ფაქტორების ხელშეწყობით.

სწორედ აღნიშნული ფაქტორების მოჭარბებამ, მოძალებული საფრთხის უგულებელყოფამ განსაზღვრა წარსულში არასასურველი ვითარება რესპუბლიკაში.

მაშასადამე, წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრის, აქედან გამომდინარე, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ნეგატიური, სუბიექტური ფაქტორების ლიკვიდაცია. ასე გვესახება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის სადღეისო ამოცანა და აქეთკენ უნდა მივმართოთ ორგანიზაციულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება.

კითხვა: როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი, განმსაზღვრელი როლი ეკისრება აღმზრდელობით მუშაობას. ხომ არ იჩრდილება ასეთ შემთხვევაში კანონის როლი? რა ადგილს მიუჩენდით კანონმდებლობას კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის საქმეში?

პასუხი: ჩემი აზრით, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, თუ ამ პრობლემის გადაწყვეტისას კანონმდებლობასა და აღმზრდელობით მუშაობას ერთმანეთისაგან არ გავმიჯნავდით. აღმზრდელობითი მუშაობა და მართლწესრიგის განმტკიცება ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, კანონის ერთ-ერთი დანიშნულება ხომ სწორედ აღმზრდელობითი ფუნქციაა.

რა თქმა უნდა, ახალი ადამიანის აღზრდა მისთვის ნიშანდობლივი კომუნისტური ზნეობითა და მრწამსით, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობით — ეს, არსებითად, სტრატეგიული ამოცანაა სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალი, კომუნისტური საზოგადოების შექმნის გზაზე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „აღზრდა ხანგრძლივი და ძნელი საქმეა".

აი, საქმის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი სოციალისტური ცხოვრების წესების დაცვა, როგორ სრულდება ჩვენი კანონები. აქ მინდა, ყურადღება მივაპყრო სწორედ სასჯელის გარდაუვალობის თაობაზე ლენინურ მოთხოვნათა განუხრელი დაცვის აუცილებლობას.

ძალზე საჭიროა, რომ არ გვავიწყდებოდეს დანაშაულის გახსნის, აგრეთვე სამართლიანად განსაზღვრული სასჯელის მნიშვნელობა. ეს საქმე ჩვენი კანონის ფხიზელ გუშაგებს აქვთ მინდობილი და მათ პროფესიულ ოსტატობაზე, პატიოსნებასა და მოუსყიდველობაზე, სიფხიზლესა და პრინციპულობაზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრიობის სიმშვიდე და უშიშროება.

ეჭვი არ არის, რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებში მეტწილად სწორედ ასეთი ადამიანები მუშაობენ. ამასთანავე, არც ის არის საიდუმლო, რომ მათ შორისაც არიან ნაკლებად კომპეტენტური, არასაკმარისად გამოცდილი კადრები. მაგრამ უაღრესად საშიშია, როდესაც კანონის დამცველთა რიგებში შეაღწევენ ხოლმე შემთხვევითი, ხელმრუდი ელემენტები, რომლებიც მომხვეჭელურ მისწრაფებებს აყოლილნი, თვითონვე თელავენ ფეხქვეშ კანონებს.

ამასთანაცაა დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოების ავტორიტეტი. ამ სფეროს მუშაკებისათვის დაკისრებული ამოცანების განსაკუთრებულობა განსაზღვრავს მათ მიმართ განსაკუთრებულ, მე ვიტყოდი, სრულიად არასტანდარტულ მომთხოვნელობას და მომკითხველობას. ასეთია კანონის დამცველთა მუშაობის სპეციფიკა, ამაშიც უნდა ვეძიოთ, ალბათ კანონის დამცველთა მიმართ, არცთუ ისე იშვიათად საფუძველმოკლებული უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები. ეს ის შემთხვევაა, როცა, ათასგზის წარმატების მიუხედავად კი, ერთი შეცდომა, ერთი წარუმატებლობა, უმნიშვნელო ხარვეზიც კი კრიტიკულ განწყობას, ხოლო ზოგჯერ აღშფოთებას იწვევს. რა გაეწყობა, ასეთია ამ პროფესიის ბედი, და თუ მას შეგნებულად ირჩევ, სუფთა ხელი და სუფთა გული უნდა გქონდეს, არც სიძნელეებს უნდა უშინდებოდე.

კითხვა: გასაგებია, რომ აღზრდა, პირველ ყოვლისა, გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებით იწყება. მაგრამ, გარკვეული თვალსაზრისით ესეც მრავლისმომცველი ცნებაა, ვინაიდან მოთხოვნილებების ხელოვნურმა შემცირებამ შეიძლება ხელი შეუშალოს პიროვნების ფიზიკურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე გამოიწვიოს შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობის ერთგვარი დაქვეითება. მეორე უკიდურესობაა ქონებრივი პრესტიჟულობის მოსაზრებით ნაკარნახევი იშვიათი, ძვირადღირებული ნივთების შეძენის სურვილი, რაც ადამიანის ფუჭ პატივმოყვარეობას, თავშეუკავებლობას, მისი მოთხოვნილებების უკულმართობას მოწმობს და შეიძლება უფრო სერიოზული მორალური მანკიერების წარმომშობ მიზეზადაც იქცეს.

მაინც, სად გადის ამ ორი უკიდურესობის გამმიჯნავი ზღვარი, სად უნდა ვეძიოთ მოთხოვნილებების „ოქროს შუალედი"?

პასუხი: ძნელია გაუგო ისეთ კაცს, რომელიც საჭიროების მიხედვით კი არ იძენს ნივთებს, არამედ შეპყრობილია ჟინით, თავისად იგულოს პრესტიჟული მნიშვნელობის მქონე მატერიალური ფასეულობა. ასეთი ჟინი, მე ვიტყოდი, „ნივთთაყვანისცემა"; გაუგებარია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნივთი პატიოსნად ნაშოვნი ფულით არის შეძენილი. მაგრამ აბა, რა დავარქვათ იმას, როცა კაცი დადგება დილემის წინაშე— შეიძინოს მისთვის უაღრესად საჭირო ნივთი თუ იყიდოს არცთუ ისე საჭირო, მაგრამ, სამაგიეროდ, მოდური, პრესტიჟული საგანი და უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. ამგვარი მიდრეკილება ვერანაირად ვერ თავსდება გონივრულ მოთხოვნილებათა ფარგლებში.

აუცილებელია, განვასხვავოთ ადამიანის მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა კანონზომიერი ზრდა მომხვეჭელური განწყობილებისაგან, როცა მოხმარება სხვისი შრომის ხარჯზე გამდიდრების, მოხვეჭისა და დაგროვების წყურვილად იქცევა. მოხმარებას არაფერი აქვს საერთო მომხმარებლობასთან. პირველი საარსებო საჭიროება, ცხოვრების ატრიბუტია, მეორე კი პრესტიჟული მისწრაფებით, ფუფუნებისა და განცხრომის დაუოკებელი სურვილის დაკმაყოფილებით გამოიხატება. ასეთია სწორედ მომხმარებლობის — სოციალური პარაზიტიზმის სახე.

პარტია ყოველთვის იყო და არის მატერიალური კეთილდღეობის, მოხმარების გაფართოების მომხრე. მაგრამ იგი გონივრულ საზღვრებში უნდა ხდებოდეს. ეს კი აღზრდის საქმეა. სხვანაირად რომ ვთქვათ, გონივრული მოთხოვნილებების ჩამოყალიბება ან, უფრო ფართო გაგებით, ღირებულებათა სოციალური სკალის შექმნა, აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გონივრულ მოთხოვნილებათა „ოქროს შუალედი" მაშინ დგება, როცა მაღალია მოხმარების კულტურა, ესე იგი როცა ადამიანი არ ითხოვს იმაზე მეტს, რაც შეუქმნია.

ხოლო როდესაც ეს წონასწორობა ირღვევა და მოთხოვნა აჭარბებს გაცემულს, წარმოიქმნება და მოქმედებას იწყებს თავისებური, მეტწილად საზოგადოებისაგან მალული შემოსავლის გადანაწილების მექანიზმი, რომელიც მოქმედებს ადამიანთა გარკვეული მეზღუდული ჯგუფის სასარგებლოდ.

ამასთან, იწყება ამ ადამიანთა ცხოვრებისეულ, მორალურ-ზნეობრივ ღირებულებათა დეფორმაცია. სამომხმარებლო [illegible]ლობათა დაგროვების, პრესტიჟული ნივთების ფლობის სურვილი, სულიერი გამდიდრების საპირისპიროდ, იქცევა მათი თვითდამკვიდრების უთუოდ გაუკულმართებულ ფორმად. ამგვარი ადამიანების მომხვეჭელური მიდგომა ცხოვრებისადმი იწვევს მათი მორალური პასუხისმგებლობის დაქვეითებას, გულგრილობას, ინდიფერენტულ განწყობას, ზნეობრივი ნორმებისა და კანონმდებლობის პირდაპირ და არაპირდაპირ დარღვევას. „ნივთომანიის" ავი სენის მკაცრი ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ თუ არ „განიკურნა" ადამიანი, ადრე თუ გვიან დანაშაულამდე მივა.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ გონივრული მოთხოვნილებანი, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა ზოგადი კულტურის ელემენტი, ადამიანის ინტელექტის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა. მაშასადამე, ოჯახით და სკოლით დაწყებული, ყველა სოციალური და იდეოლოგიური ინსტიტუტის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყონ შინაგანად კულტურული ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბებას. კულტურული, ინტელიგენტი ადამიანი არასდროს მოექცევა მატერიალურ მოთხოვნილებათა ტყვეობაში, არ დაუშვებს, რომ მატერიალურმა დათრგუნოს მასში სულიერი. და თუ ეს მაინც ხდება, მაშასადამე საქმე გვქონია არა ჭეშმარიტ, არამედ ლამაზი „ფასადით" შენიღბულ, ასე ვთქვათ, ფსევდოკულტურასთან.

დღეს ნათლად იკვეთება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი — საზოგადოების მაღალი კულტურის დონე, სულიერი და ზნეობრივი გამდიდრებისაკენ მისწრაფება. ასეთ საზოგადოებაში, თქმა არ უნდა, გაუჭირდებათ შეღწევა ყოველგვარ ანტიპოდებს, ხოლო, იმათ, ვინც ამ საზოგადოების უღირსი წევრია, მაგრამ ასე ვთქვათ, ჯერ არ გახსნილა, უთუოდ გარიყავს საზოგადოება.

კითხვა: არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ალბათ, საზოგადოებრივ წარმოებაში ადამიანის რეალური წვლილის ზუსტი უკუგების უზრუნველყოფას.

პასუხი: ეს დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო ჟურნალ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში წერს: „საიდუმლო როდია, რომ შრომის, სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების ნიმუშების გვერდით ვხედავთ მოდუნებას, უყაირათობას, ადამიანთა ერთი ნაწილის მისწრაფებას მოიწყონ კეთილდღეობა სხვების ხარჯზე, საზოგადოების ხარჯზე, სარფიანად მოითბონ ხელი ცალკეული სამომხმარებლო საქონლის ნაკლებობაზე, შრომის ოდენობის და მოხმარების ოდენობისადმი კონტროლის სისტემის ნაკლოვანებაზე".

მართლაც, აღზრდა ერთი მხარეა საქმისა, რა თქმა უნდა, მთავარია, კაცმა არ მოიპაროს, არ მიითვისოს ის, რაც სხვისი შრომის ნაყოფია და მას არ ეკუთვნის. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ასეთი ადამიანები მაინც არიან ჩვენს საზოგადოებაში? ხომ არ მივცემთ მათ მომხვეჭელური სურვილების ასრულების საშუალებასა და უფლებას. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, დროულად გამოვავლინოთ და ამოვძირკვოთ ამა თუ იმ სფეროში ნეგატიური გამოვლინების შესაძლებლობა. საჭიროა ინდივიდუალურად მივუდგეთ თითოეულ ნეგატიურ ფენომენს. გამოვყოთ იგი, გავაანალიზოთ წარმოქმნის მიზეზები, გავერკვეთ გავრცელების ხასიათსა და სპეციფიკაში. ეს საშუალებას მოგვცემს ღრმად და ყოველმხრივ შევისწავლოთ გავრცელებული ანტისაზოგადოებრივი მოვლენების სპექტრი და ამის საფუძველზე შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მათთან ბრძოლის კომპლექსურ ღონისძიებათა ერთიანი სისტემა.

ჩვენ უკვე დაგვიგროვდა ასეთი მუშაობის დადებითი გამოცდილება.

ავიღოთ, თუნდაც, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სპეკულაციის მიზნით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა. გახსოვთ, იყო დრო, როცა ეს გახდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის კერძომესაკუთრული ინტერესების რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალება. და აი, ეკონომიკური ბერკეტების უნარიანი გამოყენების მეოხებით, რომელიც ეხება როგორც კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობების სექტორს, ისე მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობას, ამ უარყოფითი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში ადმინისტრაციული და საბჭოთა ორგანოების, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მეცადინეობით უდავო წარმატებებს მივაღწიეთ.

ანდა, ავიღოთ სხვა მაგალითი. მშენებლობის სფეროში მუშახელის ნაკლებობის კვალობაზე, განსაკუთრებით საჭიროა ისეთი მოვლენის აღკვეთა, როგორიც არის „სარფიან საშოვარზე", იოლი მოგების ძიებაში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუშა ხელის პერიოდული გასვლა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნია საგანგებო ღონისძიებათა განხორციელება ამ მიმართულებით. ნაყოფიერი აღმოჩნდა ამ მიზნით შექმნილი ცენტრალური კომიტეტის და პარტიის რაიკომებისა და ქალაქკომების კომისიების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში.

საზოგადოების მტერია

(დასასრული)

კარგი შედეგი მოგვცა ამავე დროს კომპლექსური სამშენებლო ბრიგადების შექმნის პრაქტიკამ, როცა ბრიგადის წევრთა სამშენებლო სამუშაოებით უზრუნველყოფა ხდება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამას თუ დავუმატებთ შრომის პირობების გაუმჯობესებას, მატერიალური და მორალური სტიმულირების ეფექტური ფორმების გამოყენებას, შეიძლება ითქვას, რომ გამოინახა ადამიანთა შრომითი მოწყობის ფორმა, რომელიც ორგანულად უხამებს ერთმანეთს საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს.

გარკვეულწილად შესაძლებელი გახდა კიდევ ერთი არასასურველი პროცესის რეგულირებაც; გარკვეულწილად იმიტომ, რომ ზოგიერთი ობიექტური მიზეზის გამო ეს პროცესი ბოლომდე არ ექვემდებარება რეგულირებას.

მაგალითად, ავიღოთ უკანონო შემოსავლის ისეთი არხი, რომელიც იქმნება საკოლმეურნეო ბაზარში ქალაქის მოსახლეობისათვის პირადი დამხმარე მეურნეობის პროდუქტების ზედმეტ ფასებში მიყიდვის შედეგად.

ბაზარში საქონლის ნაკლები რაოდენობით მიწოდების დროს იზრდება მისგან მიღებული ამონაგების ოდენობა. ეს ნიშნავს, რომ ფასები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საქონლის გაყიდვის მოცულობა ნატურალური (ლირებულებითი) გამოხატულებით. რა თქმა უნდა, საკოლმეურნეო ბაზარში საქონლის ძირითადი მასა პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომის ნაყოფია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წარმოიშვება თვით საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის სახიფათო მოვლენები — შუამავლობა, სპეკულაცია. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა ზედმიწევნით სერიოზული, შეურიგებელი უნდა იყოს.

სპეკულაცია მეტად სახიფათო სოციალური ბაცილაა. სპეკულანტები, გადამყიდველები, რომლებიც უშრომელი შემოსავლით ცხოვრობენ და სხვასაც უღვიძებენ ამგვარ მადას, ხელს უშლიან სახელმწიფო ვაჭრობას და საზოგადოებას უდიდეს ეკონომიკურ და მორალურ ზიანს აყენებენ. სპეკულაცია, ცხოვრებიდან მისი განდევნის დიდი ცდების მიუხედავად, სამწუხაროდ, მაინც საკმაოდ არის ფეხმოკიდებული. ეს ეხება არა მარტო იმპორტული სიგარეტით, სადეჭი რეზინითა და სხვა წვრილმანით ქუჩაში მოვაჭრეებს, არამედ გარკვეული სტატუსის მქონე ეგრეთ წოდებულ „რესპექტაბელურ" ოჯახებს, რომლებსაც თუმცა ესმით, რაოდენ სამარცხვინო საქმესაც ეწევიან, ვერა და ვერ დაუძლევიათ „სიხარბე თვისი" და საკუთარ

დამზადების გზით დაიტაცეს მილიონობით მანეთი. ჯგუფის ორგანიზატორის ბაკაშვილის ოჯახს ჩამოერთვა დაახლოებით მილიონი მანეთი ნაღდი ფული და ორი მილიონი მანეთის სხვადასხვა ანტიკვარული საგნები და ნივთები.

დღევანდელ ვითარებაში თავისი მასშტაბით ეს უპრეცედენტო შემთხვევა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ღვინის ქარხანაში შექმნილ ვითარებას სრულიად არ აკონტროლებდა, ზოგ შემთხვევაში კი პირადად მონაწილეობდა მასში, პარტიის სიღნაღის რაიკომის, რაიაღმასკომისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი.

დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან. ისინი მოხსნეს სამუშაოდან და გარიცხეს პარტიიდან, ბევრი მათგანის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ა. შ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და მისგან უაღრესად სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

ზოგჯერ დატაცების, წამატებებისა და უსაქონლო ოპერაციების ფაქტები კვლავ შეინიშნება სხვა სამინისტროებსა და უწყებებშიც, საწარმოო-სამეურნეო სფეროში, განსაკუთრებით სამშენებლო ორგანიზაციებში ბოლომდე ვერ მოიშალეს სამუშაოზე „მკვდარი სულების" გაფორმება, მათი ხელფასის აღება და ვითომდა შესრულებული სამუშაოებისათვის მათთვის პრემიის გაცემაც კი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვიხ-

რულ მოთხოვნილებებს, არამედ თავადაც ყალბი პრესტიჟული შეხედულებების ტყვეობაში მყოფნი, არაჯანსაღ, მუშტრულ ფსიქოლოგიას უღვივებენ შვილებს. სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ გამდიდრების წყურვილით დაბრმავებული მშობლები შვილების თვალწინ ბჭობენ უზნეო ზრახვების რეალიზაციის გეგმებზე და, გასაგებია, სრულიად უგულებელყოფენ აღზრდის ელემენტარულ წესებს.

ოჯახური აღზრდის შეცდომები ძნელი გამოსასწორებელია. პატარაობიდანვე, ოჯახში გამომუშავებული ჩვევები თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება ადამიანს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი მშობლებს ეკისრებათ. აღზრდაში ბევრს ნიშნავს დედ-მამის მაგალითი, ყოველივე უარყოფითი ამ მაგალითში მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც აირეკლება ბავშვის ქცევაში. არა არის რა იმ ადამიანთა ცინიზმზე უფრო საშიში, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოების ყველა სიკეთით, სამუშაოზე, საზოგადოებაში, ტრიბუნიდან ერთს ამბობენ, შინ, ოჯახში, ბავშვებთან კი მკრეხელურად ქირქილებენ ჩვენი სიძნელეების, ნაკლოვანებების გამო. ამგვარი გაორება ხრწნის ახალგაზრდობას, კლავს მასში ნათელი იდეალების რწმენას. უფროსების პირად მაგალითზე ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს მიუძღვნა და ნათლად, მრავალმხრივ განიხილა ისინი ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ჟურნალ „კომუნისტში" გამოქვე-

აღმშენებლობის საფეხურები

ბუდაპეშტის განთავისუფლების 40 წლისთავი

40 წლის წინათ საბჭოთა არმიამ, რომელმაც უნგრეთის დედაქალაქში ფაშისტური ჯარების ბოლო შენაერთები გაანადგურა, თავისუფლება მოუტანა მის მცხოვრებლებს, რომლებიც მაშინვე შეუდგნენ ომით მიყენებული იარების მოშუშებას. განვლილ ოთხ ათწლეულში ქალაქის განვითარებაზე გვესაუბრება ბუდაპეშტის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლაიოშ ფარკაშინსკი.

— **1945 წლის** 13 თებერვალს მოსკოვში გაისმა სადღესასწაულო სალუტის ზალპი, რომელიც იუწყებოდა ჩვენი დედაქალაქის განთავისუფლებას. ეს დღე სამუდამოდ აღიბეჭდა მადლიერი უნგრელი ხალხის მეხსიერებაში.

უნგრეთის დედაქალაქი თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არასოდეს ყოფილა ასე ახლოს სრულ მოსპობასთან როგორც მაშინ, როცა ის-ის იყო მის მიწაზე ახალი ცხოვრების განთიადი დგებოდა და გერმანელმა ფაშისტებმა და მათმა უნგრელმა დამქაშებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება, ქალაქი რომ შეენარჩუნებინათ, ყოველგვარ ბარბაროსობას მიმართეს: მრავალი უნგრელი მოსპეს, გაანადგურეს მატერიალური ფასეულობანი, ააფეთქეს ულამაზესი ხიდები, დაანგრიეს მეტი წილი ნაგებობანი, ხოლო უკან დახევის წინ გაძარცვეს ქარხნები და ფაბრიკები, გაიტაცეს ხელოვნების მდიდარი საგანძური. ნორმალური ცხოვრების დაწყებაში საბჭოთა ჯარისკაცები, საბჭოთა ადამიანები დაგვეხმარნენ. ბუდაპეშტელები მათგან სწავლობდნენ ახალი ცხოვრების მშენებლობის ძირითად პრინციპებს. ისინი გვეხმარებოდნენ წესრიგის დამყარებასა და ტრანსპორტის აღდგენაში, იმ გეგმების ხორცშესხმაში, რომელთა შესახებაც ჩვენ ორმოცი წლის შემდეგ დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი წარმატებით განვახორციელეთ.

ბუდაპეშტი ჩვენი სამშობლოს გული, ქვეყნის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ცენტრია. აქ ცხოვრობს უნგრეთის მოსახლეობის მეხუთედი, იქმნება მთელი სამრეწველო პროდუქციის 22 პროცენტი. უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ ფერფლიდან აღმდგარი ასეთი ქალაქი უდიდეს ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად ქცეულიყო დუნაიზე. სწორედ მისი წყალობით, მაგალითად ბუდაპეშტის სამრეწველო პროდუქცია 80-იანი წლების დამდეგისათვის 5,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა 1949 წელთან შედარებით. ჩვენ შევძელით გადაგვეწყვიტა წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული მძიმე სოციალური პრობლემა — ბინების ნაკლებობა. მარტო 1961-1975 წლების პერიოდში ახალმოსახლეებს 188 ათასი ბინა გადაეცათ. მომდევნო წლებში მშენებლობის ტემპი კვლავ იზრდებოდა. ამ ხნის განმავლობაში გაშენდა ახალი საცხოვრებელი რაიონები. ამავე დროს გრძელდებოდა ქალაქის ისტორიული ნაწილის აღდგენა, სადაც ომის დროს ორასი ათასამდე ბინა დაზიანდა. ბუდაპეშტში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, განთავისუფლების შემდეგ შემოღებულ იქნა სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემა და უფასო სამედიცინო მომსახურება, დაწესდა სავალდებულო საყოველთაო რვაწლიანი განათლების სისტემა, აიგო ასობით ახალი სკოლა. ქალაქში არის 20-ზე მეტი თეატრი, ასზე მეტი კინოთეატრი, ათობით კულტურის სახლი, პიონერთა სახლი, ახალგაზრდობის კლუბი, აშენდა მრავალრიცხოვანი სპორტული ნაგებობანი, მათ შორის საბჭოთა სპეციალისტების პროექტით — სპორტის სასახლე „ბუდაპეშტი".

კვლავ გაიდო დუნაიზე ბუდაპეშტის სახელგანთქმული ხიდები, ბევრი მათგანი ბოლო წლებში გაფართოვდა.

ბუდაპეშტის განვითარების სამომავლო გეგმები ასევე მასშტაბურია. მეექვსე ხუთწლედის დამამთავრებელ 1985 წელს გათვალისწინებულია ახალმოსახლეებს გადაეცეთ 90 ათასი ბინა, გაგრძელდება ძველი საცხოვრებელი ბინების რემონტი და მოდერნიზაცია, აიგება 1370 ახალი სასკოლო შენობა, ორი პოლიკლინიკა.

სულ რამდენიმე თვეა, რაც ბუდაპეშტელებმა მიიღეს განახლებული საოპერო თეატრი, რომელსაც 100 წელი შეუსრულდა, მეტროს ახალი ხაზი. მთავრდება ბუდას სამეფო სასახლის რეკონსტრუქცია და იგი ამიერიდან კულტურის სასახლე იქნება. ხუთწლედის ბოლოსათვის ქალაქის მაღაზიების სავაჭრო ფართობი 110 ათასი კვადრატული მეტრით გაიზრდება, მოდერნიზდება სამი და აიგება ერთი ახალი სასტუმრო.

ის, ვინც ბუდაპეშტის ცხოვრებით არის დაინტერესებული, ყოველ ნაბიჯზე შეხვდება საბჭოთა კავშირთან, მოსკოვთან ნაყოფიერი თანამშრომლობის კონკრეტულ მაგალითებს. ამჟამად ორი დამოყვრებული დედაქალაქის ორმოცზე მეტ საწარმოსა და დაწესებულებას უშუალო კონტაქტები აქვს დამყარებული. მოსკოვის გამოცდილების საფუძველზე და საბჭოთა წარმოების მანქანების დახმარებით შენდებოდა ბუდაპეშტის მეტროს ხაზები. საბჭოთა ტექნოლოგია იყო ჩვენი სახლთსაშენებელი კომბინატების საფუძველი და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საბინაო მშენებლობის პირველი თხუთმეტწლიანი გეგმის ამოცანათა წარმატებით შესრულებას. ასეთი ნაყოფიერი თანამშრომლობის მრავალრიცხოვან მაგალითს ნახავთ აგრეთვე საბჭოთა დედაქალაქში. ფართოა ჩვენი კონტაქტები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ხაზითაც.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ განვლილ ოთხ ათწლეულში ჩვენი უდიდესი მიღწევაა მშრომელთა შეგნების, პასუხისმგებლობის გრძნობის განმტკიცება, პროფესიული და კულტურული დონის ამაღლებისათვის მისწრაფება, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესის გამახვილება — ყველაფერი ის, რაც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტიკის მიზანია და ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას ემსახურება. ამ პოლიტიკის შედეგად უნგრეთის დედაქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ახალი ფორმაციის ადამიანები არიან, რომლებიც სოციალისტურად ცხოვრობენ და აზროვნებენ.

უნგრეთისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობა ურღვევია. და ჩვენ, უნგრელები, ღრმა რწმენით ვიმეორებთ ამხანაგ იანოშ კადარის სიტყვებს, რომ ჩვენი ურთიერთობა კლდესავით მონოლითურია, ვინაიდან იგი პრინციპული, ინტერნაციონალურია და ჩვენი ინტერესებისა და მიზნების ერთიანობაზეა დაფუძნებული. ემზადებიან რა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობისათვის, რომელიც მარტის მიწურულს გაიმართება, ბუდაპეშტელები ცხადყოფენ თავიანთ სოლიდარობას პარტიის პოლიტიკისადმი, მშრომელთა კეთილდღეობასა და ბედნიერებას რომ ისახავს მიზნად.

ფოტოინფორმაცია

1945

1985

პური — უნგრეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს....

მეფუტკრეობის ყველაზე სასარგებლო და გემრიელ პროდუქტს აწვდის უნგრეთისა და უცხოეთის ბაზრებს ბუდაპეშტის ფაბრიკა. „ჰუნგარონექტარის" მარკიან ნაწარმს მრავალნაირი სახით იღებს მომხმარებელი. ბავშვებს, მაგალითად, ძალზე მოხწონთ თაფლით სავსე პლასტმასის „დათუნიები".

მტი-საქდესის ფოტო.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

12 თებერვალი ● საქდესი იუწყება

აშშ

მოლაპარაკება თეთრ სახლში

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა თეთრ სახლში მოლაპარაკება გამართა საუდის არაბეთის მეფე ფაჰდთან, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა.

დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო ახლო აღმოსავლეთის ვითარება. მიმომხილველთა აზრით, საუდის არაბეთის მეფე ვაშინგტონში ჩამოვიდა იმ განზრახვით, რომ მიაღწიოს ამერიკის ადმინისტრაციის მხრივ „თვისებრივად ახალ მიდგომას" ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტისადმი, შეერთებული შტატების ახლანდელი პოლიტიკის გადასინჯვას, რომელმაც მხოლოდ გაამწვავა ვითარება რეგიონში.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონში მას მოლაპარაკების წინ აშკარად აგრძნობინეს, რომ რაიმე ცვლილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ჩილე

დიქტატორის ბრძანებით

ბუენოს-აირესი. სანტიაგოდან მიღებული ცნობით, ჩილეს სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის მეთაურმა პინოჩეტმა მიიღო გადაწყვეტილება მთავრობაში მორიგი ცვლილებების შესახებ. მისი ბრძანებით გადადგა მინისტრთა კაბინეტის მთელი შემადგენლობა. მართალია, გადადგომის მიზეზებს ოფიციალურად არ ასახელებენ, მაგრამ მეთვალყურეთა აზრით, პინოჩეტმა გადაწყვიტა ამ გზით მოიშოროს თავიდან არასასურველი მინისტრები და მათ გადააბრალოს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი.

ჩილეში არ ცხრება გამოსვლები პინოჩეტის დიქტატურის წინააღმდეგ, ქვეყანაში დემოკრატიის აღსადგენად. ხალხის მზარდი წინააღმდეგობის შიშით რეჟიმი მხოლოდ აძლიერებს ტერორს. საინფორმაციო სააგენტოების ცნობებში აღნიშნულია, რომ სანტიაგოსა და სხვა დიდ ქალაქებში არმიისა და პოლიციის ქვედანაყოფები აწყობენ ჩხრეკა-დაპატიმრებას ღარიბეს უბნებში.

ბელგია

მწვავე უთანხმოებანი ვერ დაძლიეს

ბრიუსელი. უშედეგოდ დამთავრდა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების დონეზე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს აქ გამართული ერთდღიანი სესია. „მცირეევროპელმა" პარტნიორებმა ვერ შეძლეს დაეძლიათ მწვავე უთანხმოებანი მომავალი რამდენიმე წლისათვის, მათ შორის მიმდინარე საფინანსო წლისათვის, „საერთო ბაზრის" სასოფლო სამეურნეო პროგრამათა დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

სამხრეთ კორეა

საპოლიციო ზედამხედველობის მოთარეშაში

ტოკიო. უმკაცრესი საპოლიციო ზედამხედველობისა და ოპოზიციურ მოღვაწეთა წინააღმდეგ რეპრესიების ვითარებაში მიმდინარეობს სამხრეთ კორეაში ეროვნული კრების „საყოველთაო არჩევნები". რაიონულ საარჩევნო ოლქებში კენჭისყრის შედეგად გადაწყდება 184 ადგილის ბედი „პარლამენტში", რომელსაც მმართველი სამართლიანობის დემოკრატიული პარტია აკონტროლებს. როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, ზემოხსენებულ პარტიას, რომელსაც ხელთ უპყრია ხელისუფლების ღვედები, გაბატონებული პოზიციების შესანარჩუნებლად ხმების უბრალო უმრავლესობა სჭირდება. არჩევნების დროს არეულობის შიშით, სეულის ხელისუფლებმა მასში მონაწილეობა აუკრძალეს თვალსაჩინო ოპოზიციურ მოღვაწეს კიმ ტე ჯუნს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა სამშობლოში ორწლიანი ემიგრაციის შემდეგ. უკვე კვირაზე მეტია შინიდან გამოსვლა აუკრძალეს აგრეთვე სამხრეთ კორეის ოპოზიციის მეორე ხელმძღვანელს კიმ ენ სამს. კიოდო ცუსინის სააგენტო აღნიშნავს, რომ დიდი უპირატესობის მიუხედავად, რომელსაც სეულელ მმართველებს ანტიდემოკრატიული საარჩევნო სისტემა ანიჭებს, ისინი სერიოზულ კონკურენციას წააწყდებიან ახალი დემოკრატიული პარტიის მხრივ.

სახელი, ღვაწლით დამშვენებული

აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის დაბადების 75 წლისთავის გამო

სამამულო გეოლოგიის განვითარებაში მეტად დიდია გიორგი ძოწენიძის ღვაწლი. გამოჩენილმა მეცნიერმა ნათელი კვალი დატოვა არა მარტო თავისი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომებით, არა მარტო მრავალრიცხოვანი მოწაფეებით, რომლებმაც თვალსაჩინო მეცნიერთა ან ნიჭიერ გეოლოგ-პრაქტიკოსთა სახელი დაიმკვიდრეს, არამედ ასევე თავისი პიროვნული თვისებებითაც. კეთილი დამოკიდებულება ადამიანებთან, გაჭირვების დროს მხარდაჭერა და გულითადი სიხარული მეგობრის წარმატებით, დელიკატურობა გარშემო მყოფთა მიმართ და განსაკუთრებით გამოხატული სიყვარული ბავშვებისადმი — ყველა ეს თვისება ახასიათებდა ჭკვიან, გულისხმიერ, ენერგიულ, კეთილშობილ პიროვნებას გიორგი ძოწენიძეს და ასეთადვე დარჩა იგი სამუდამოდ ჩვენს გულში.

გიორგი ძოწენიძე დაიბადა 1910 წლის თებერვალში ქუთაისში მუშის ოჯახში. მის მშობლებს ექვსი შვილი ჰყავდათ. 1925 წელს მან დაამთავრა ქუთაისის ცხრაწლიანი სკოლა. ამავე წელს იგი 15 წლისა ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მიიღო ორი სპეციალობა — ქიმიკოსის და გეოლოგისა.

უნივერსიტეტში სწავლის ბოლო კურსზე პროფესორმა ა. თვალჭრელიძემ იგი მიიწვია პეტროგრაფია-მინერალოგიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი ასპირანტად. იქ იგი წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე.

ქართული გეოლოგიური სკოლის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში მის ცნობილ დამაარსებლებს ა. ჯანელიძეს, ა. თვალჭრელიძეს და კ. გაბუნიას — გ. ძოწენიძის პირველ მასწავლებლებს არ ჰყოფნიდათ კვალიფიკაციური კადრები იმ მრავალი პრობლემის გადასაჭრელად, რომლებიც იდგა სამამულო გეოლოგიის წინაშე. კათედრაზე მუშაობის პარალელურად გ. ძოწენიძე იძულებული იყო სათავეში ჩასდგომოდა საველე გეოლოგიურ პარტიებს, რომლებიც ეძებდნენ სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულ საბადოებს, რათა შეესწავლათ და ჩაეყენებინათ მრეწველობის სამსახურში. დაიწყო აქტიური მრავალმხრივი გეოლოგიური მოღვაწეობა. მან შეისწავლა მანამდე უცნობი გოგირდ-კოლჩედანური და ბოქსიტების მადანთა გამოვლინებები, აგრეთვე ბარიტისა და ანთიმონიტის საბადოები საქართველოში.

1938 წელს საკანდიდატო დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ გიორგი ძოწენიძე მთელ თავის ენერგიას ახმარს ვულკანური ქანების შესწავლას, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე. აქ მან შენიშნა, რომ მოძრავ ტექტონიკურ ზონებში, რომლებმაც ხანგრძლივი სიღრმული დაძირვა, შემდეგ კი ასეთივე ინტენსიური აღზევება განიცადეს, განვითარებულია განსხვავებული ვულკანური წარმონაქმნები, ვიდრე იმ სტაბილური უბნების ფარგლებში, რომელთაც არ განუცდიათ მძლავრი ტექტონიკური ზემოქმედება. იმ ვულკანიზმს, რომელიც მოძრავ ზონებს ახასიათებს, გ. ძოწენიძემ ოროტიპული უწოდა, ხოლო სტაბილურს — კრატოტიპული. ეს მნიშვნელოვანი დასკვნა წითელ ზოლად გასდევს საქართველოს ვულკანიზმის აღნიშნულ გამოკვლევას. მსგავსი მოსაზრება ტექტონიკის სფეროში თითქმის ერთდროულად განავითარეს გერმანელმა გეოლოგმა გ. შტილემ, მეტალოგენიის სფეროში კი — გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა, ლენინგრადელმა ი. ბილიბინმა.

მონოგრაფია საქართველოს დემიოცენური ვულკანიზმის შესახებ გ. ძოწენიძემ შესანიშნავად დაიცვა სადოქტორო დისერტაციის სახით 1947 წელს. ამ ნაშრომმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა პეტროლოგიის განვითარებაში. ამის გამო გ. ძოწენიძე დაჯილდოვდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით.

თუმცა, გიორგი ძოწენიძე ფრიად მოუცლელი იყო სახელმწიფოებრივი საქმეების გამო, შემდგომი გეოლოგიური ნაშრომები მიუძღვნა ახალ მეცნიერულ მიმართულებას — ვულკანიზმის მადანთშემცველობას. პირველად მან თავისი მოსაზრებანი მადნეულ საბადოთა ვულკანიზმის შესახებ წამოაყენა 1957 წელს ტაშკენტში გამართულ პეტროგრაფთა შეკრებაზე. ამ იდეას მხარი დაუჭირა მრავალმა გამოჩენილმა გეოლოგმა. გამოქვეყნდა მრავალი პუბლიკაცია, მათ შორის გ. ძოწენიძის ორი ახალი წიგნი. ამასთან დაკავშირებით ვ. სმირნოვსა და გ. კოტლიართან ერთად 1972 წელს მას ლენინური პრემია მიენიჭა.

აღსანიშნავია აგრეთვე გიორგი ძოწენიძის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე. იგი 20 წლის მანძილზე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამ დიდი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში გ. ძოწენიძე შეუდგა იურული ვულკანიზმის ანალიზს გლობალური მასშტაბით, მაგრამ ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება ვეღარ მოასწრო. გ. ძოწენიძის ნაშრომები საბჭოთა და მსოფლიო გეოლოგიის მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. 1980 წლიდან ტრადიციად იქცა თბილისსა და მოსკოვში პერიოდულად გ. ძოწენიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კითხვის მოწყობა. ასეთი სამეცნიერო კითხვა ახლახან გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში.

გ. თვალჭრელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

თ. ჯანელიძე,
ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

თ. კიკნაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი



ამ დღეთა რიტმები. ზ. დათუაშვილის ფოტო.

დღევანდელი

ნომრის სტუმარი

დღევანდელი ნომრის სტუმარი განსაკუთრებულია. იგი სირიაში მცხოვრები ქართველი ლევან სალარაძე გახლავთ. ზოგიერთებს, ალბათ, გეცნოთ ეს სახელი, და უეჭველად, იმასაც გაიხსენებდით, (თუ კი სირიაში ხართ ნამყოფი), რა გულწრფელი მასპინძლობა გაუწევია იქ თქვენთვის, ამ სამშობლომონატრებულ კაცს.

სამშობლო კი, ბედის უკუღმართობით, 19 წლისას დაუტოვებია ლევან სალარაძეს, უცლია და სირიაში უპოვია ნავსაყუდელი.

იმ დღეებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. წლებმა თმებზე ჩამოთოვა, გულიც იქნებ ძველებურად აღარ ერჩის. ოღონდ ამ გულში სალოცავად ანთებულ წმინდა სამებას — საქართველოს, ქართველსა და ქართულს, — ნირი ვერაფერმა შეუცვალა. მართლაც, ლევან სალარაძე რა ხანია უკვე საქმით ამტკიცებს, რომ სადაც უნდა იყო და ვინც უნდა იყო, სამშობლოზე ფიქრით უნდა ათენ-ალამებდე. ამის დასტურია ქვემოიმერული კილოკავით შეფერილი მისი ქართული („რას ამბობთ, ბატონო, მე რო მიყვარს, მეუღლესაც — უკრაინელ ქალსაც ქე შეუყვარდა საქართველო, აბა, როგორ").

სამშობლოს რომ კაცკაცობით დაუმტკიცა სიყვარული, მერე იმითაც გაიხარა, რომ მისმა ორმა ქალიშვილმა თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება, ერთი აქვე გაათხოვა და სამუდამოდ საქართველოს ჩააბარა („მესამემ თანაც ბიჭმა, არ დამიჯერა, ბატონო, ბელგიელი ქალი შეირთო").

ფირმა „სალარაძე" მთელ სირიაშია ცნობილი. ჩვენებური კაცი სხვადასხვა მნიშვნელოვან მშენებლობათა მეიჯარეა. ამასთან ერთად კი უკვე მრავალი წელია სათავეში უდგას სირიაში საბჭოთა გამოფენების მოწყობის საქმეს. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, თუ რა თავგამოდებით იღვწის ლევან სალარაძე; კერძოდ, ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. ხოლო ის, რაც ახლახან გააკეთა, მართლაც რომ დიდი მამულიშვილური ღვაწლია.

ჩვენს მკითხველებს ადრევე ვაუწყეთ, რომ სირიელი მწერალი ნიზარ ხალილი ქართველი არაბისტების (კერძოდ გურამ ჩიქოვანის) დახმარებით თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს", რომ ამ თარგმანის გამოცემა იკისრა ლევან სალარაძემ და სულ მალე არაბული სამყაროც გაეცნობოდა როსტევან მეფის ამბავს.

ლევან სალარაძემ დანაპირები შეასრულა და ამ დღეებში ძვირფასი საჩუქრით — საუცხოოდ გამოცემული „ვეფხისტყაოსნით" ხელდამშვენებული ჩამოვიდა სამშობლოში.

სად წაიყვან სადაურსა...

ერთ დღეს საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ოთარ გიგინეიშვილის თანხლებით სასურველი სტუმარი რედაქციაში გვეწვია, „ვეფხისტყაოსნის" არაბული გამოცემა გვისახსოვრა და გულღიადაც გვესაუბრა:

— ერთი-ორი დღით ქუთაისში ვიყავი, იქაური ვარ და ვინახულე ახლობლები... რა ხალხია, ვინ არიან.. წევისაუზმოთ პატარაო, და მერე, სულში გეხუტუნეთ, ნაშუაღამევამდე მეფერებოდნენ... ბაგრატზეც ამიყვანეს, დიდი სამუშაოები მიდის, საინტერესო...

— ახლა მთელ საქართველოში ასეა, ბატონო ლევან. ალბათ ძველ თბილისშიც გაივლიდით...

— თვალს არ დავუჯერე, ეს რა საშვილიშვილო საქმე გაგიკეთებიათ... ჩვენი ხალხის ნიჭი და ენერგია, სულ სხვაა... იქაც ჩანს — სირიაში, ქართველი სპეციალისტების — ინჟინრების, გეოლოგების ნახელავს წუნს ვერ დასდებ, უზომოდ მიხარია...

— ჩვენებურები ბევრნი ცხოვრობენ იქ, ბატონო ლევან?

— იყო რამდენიმე კაცი, აღარ არიან. დავრჩი მარტო.

— საქართველო რომ ძალიან მოგენატრებათ, რას შვრებით ხოლმე?

— ვატრიალებ ფირფიტას, ვუსმენ ჩვენს ხალხურ სიმღერებს, მერე, ვენაცვალე ჩემს გურამ სალარაძეს, ხან „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტებს ვისმენ, ხან გალაკტიონს, ხან ეთიმ გურჯს. „დაკარგული შენი შვილი მოვედი"... ზოგჯერ ფორტეპიანოს მივუჯდები, ქართულ ჰანგს დავუკრავ. ჰო, ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი გამოწერილი მაქვს. ქართველი სპეციალისტები ჩემგან იგებენ სამშობლოს ცხელ-ცხელ ამბებს...

— იცით, რომ ჩვენი გაზეთის — „კომუნისტის" ტირაჟი რვაას ათასს აღწევს?

— რას მეუბნებით; ესე იგი, ყველა ქართულ ოჯახს სწვდება.

— ასეა.

— იქ ქვეყნის უმთავრესი გაზეთებიც კი მცირე ტირაჟით გამოდის. მით უმეტეს — წიგნები, მხატვრული ლიტერატურა. აი, „ვეფხისტყაოსანზე" ბევრი ვიბრძოლე და მხოლოდ 3000 ცალი გავცქეთე...

— უდიდესი მადლობელი ვართ, ბატონო ლევან...

— რას ამბობთ, ისეთი რა გავაკეთე... თუმცა გლახა მეძებარმა ძაღლმა რომ კურდღელი დააფრთხოს, დაჭერაში უნდა ჩაუთვალოთ, ბატონო!..

... ორშაბათს ლევან სალარაძეს საქართველოს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოებაში გაუმართეს შეხვედრა. აქ იყვნენ ქართველი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

პროფესორ ოთარ გიგინეიშვილის გამოსვლიდან: „ვეფხისტყაოსნის" არაბულ ენაზე გამოცემა უდიდესი საქმეა. ამ საქმის განხორციელებას დიდი ამაგი დასდო ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ახალგაზრდა არაბისტთა ჯგუფმა, მაგრამ ბატონი ლევანი რომ არა, ეს საქმე ან საერთოდ არ გაკეთდებოდა, ან დიდი ხნით გადაიდებოდა. მე შემიძლია გაუწყოთ კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი: „ვეფხისტყაოსანს" უკვე თარგმნიან თურქეთში, ოღონდ ძალზე გაძნელდა მისი გამოცემა. ბატონმა ლევანმა რომ გაიგო, ასეა საქმეო, იკისრა გამოცემა და 2000 დოლარი გაიღო. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" ჰონორარს, ლევან სალარაძეს გადაწყვეტილი აქვს იმ თანხით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს შეუძინოს და გამოუგზავნოს უნიკალური ლიტერატურა — ჩვენთვის ასე საჭირო და სასარგებლო... მან დღეს ასეთი რამეც გვითხრა: თარგმნეთ საქართველოს ისტორია არაბულად, გამომიგზავნეთ და გამოცემა ჩემზე იყოსო...

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის გურამ ჩიქოვანის გამოსვლიდან: „ვეფხისტყაოსნის" თარგმანს უკვე მოჰყვა დიდი გამოხმაურება არაბულ სამყაროში. სირიის ჟურნალ-გაზეთები აღნიშნავენ ამ ფაქტის დიდ მნიშვნელობას, პოემის ტექსტის შესანიშნავ ჟღერადობას, ლიბანშიც გამოეხმაურნენ ამ ფაქტს. ჩვენ ხელთა გვაქვს ეს რეცენზიები და მალე გავაცნობთ ქართველ საზოგადოებრიობას...

სულ რამდენიმე სიტყვით გადაიხადა მადლობა ჩვენმა თანამემამულემ. მღელვარება ვერ დაფარა: „სახლში რომ ვყოფილიყავი, ხომ უნდა გამეკეთებია რაიმე სასარგებლო საქმე ჩემი ხალხისათვის, საქართველოსთვის".

ალბათ იმ წუთში წუთისოფლის უკუღმართობაზეც ფიქრობდა მთელი დარბაზი, რუსთაველის ამონათქვამს ფიქრობდა: „სად წაიყვან სადაურსა...".

ვ. მარდალეიშვილი.

სურათებზე: „ვეფხისტყაოსანი" არაბულად; ლევან სალარაძე.

სიმამაცის კანონით

შეცდომის უფლება არ ჰქონდათ

შუა სამუშაო დღე იყო, როცა თბილისის ხორცის გადამმუშავებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის კაბინეტში სამი მამაკაცი შემოვიდა და კატეგორიულად მოითხოვეს აყროლებული ხორცი.

თავდაპირველად იფიქრა, მემასხრებიანო, მაგრამ უცნაური სტუმრები სულაც არ ხუმრობდნენ.

— ახალი ხორცი არ გვინდა. მოგვეცით აყროლებული და დაუყოვნებლივ! — დაჟინებით მოითხოვდა ერთი მათგანი, ჭმუხი, შავგრემანი მამაკაცი.

მეორემ, შედარებით ტანმაღალმა დაუკითხავად ჩამოხსნა თეთრი ხალათი და შემოიცვა. მესამე — ამ უცნაური კომპანიის წევრთაგან ყველაზე ახალგაზრდა — საქმეში თუმცა არ ერეოდა, მაგრამ შემართული კი იყო. არავის არ გაუგია რაზე ჩურჩულებდნენ, როცა დირექტორის კაბინეტისაკენ მიემართებოდნენ.

კარს რომ მიუახლოვდნენ შავგრემანმა ერთი ამბავი ატეხა.

— რას ჰგავს ეს?! — გაჰყვიროდა იგი და ყველას უჩვენებდა აყროლებულ ხორცს. — შეიძლება ეს ხორცი მიჰყიდოთ ხალხს? სად არის დირექტორი?

ამ სიტყვებით სამი განრისხებული მამაკაცი დირექტორის კაბინეტში შევიდა, თუმცაღა გარკვეულ დისტანციას იცავდნენ.

„შავგრემანი" დიდ აღშფოთებას გამოთქვამდა და „ექსპედიტორს" (თეთრ ხალათში გამოწყობილ მამაკაცს) უსინდისობას სწამებდა.

დირექტორი ცდილობდა სიტყვა ჩაერთო, მაგრამ იგი არ აცლიდა. მერე მაგიდაზე ხორცის ნაჭერი დააგდო და, დამემოწმეო, ჩააცივდა დირექტორის კაბინეტში მჯდომ პირქუში სახის ულვაშიან მამაკაცს, რომელსაც ძველმოდური შლაპა ეხურა და ხელთათმანები ეცვა. სანამ სამართლიანობის დამცველი აღშფოთებული გაჰყვიროდა, „ექსპედიტორი" ჟრუანტელით უახლოვდებოდა შლაპიან მამაკაცს. და როცა უკვე ზურგს უკან ამოუდგა, მან წამოხტომა სცადა, რადგან იგრძნო, რომ მახეში გაება, მაგრამ გვიანღა იყო. სამმა განრისხებულმა მამაკაცმა დირექტორის „სტუმარი" გააკავეს და ხელბორკილები დაადეს. პალტოს გარეთა ჯიბიდან პისტოლეტები ამოუღეს, რომელიც უკვე აღარავისთვის აღარ იყო საშიში.

დირექტორის კაბინეტში მომხდარი „კონფლიქტი" სულ რაღაც ორ წუთში მოგვარდა. შიშის გრძნობა გაოცებამ შეცვალა. გაკავების დროს „სტუმარს" ქუდი დაუვარდა. გამოჩნდა ოსტატურად გაკეთებული პარიკი. ულვაშებიც შეღებილი ჰქონდა, სახეზეც გრიმი ესვა. წაბლისფერთმიანი მამაკაცი უცბად ქერად გარდაიქმნა, „სტუმარი" დამნაშავედ იქცა. თავისი ბოლო როლი ვეღარ შეასრულა. იგი „სცენიდან" გაიყვანეს თბილისის მილიციის მუშაკებმა — 26 კომისრის სახელობის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ ბორის ივანოვმა („შავგრემანი") ამავე რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ოპერრწმუნებულმა სამველ ნერსესიანმა („ექსპედიტორი") და შალვა წენგუაშვილმა. თავიანთი სამსახურებრივი როლები მათ ბრწყინვალედ შეასრულეს.

ახლა ამ „სპექტაკლის" წინაისტორიის შესახებ.

ამ ხორცის გადამმუშავებელი საწარმოს დირექტორის ი. კვირიკაძის კაბინეტში 10 საათსა და 30 წუთზე ტელეფონის ზარი გაისმა. უცნობმა, რომელმაც უთხრა სტუმრად ვარ ჩამოსული საქართველოში, სთხოვა პირადად შეხვედროდა.

— როდესაც შევხედე, — თქვა კვირიკაძემ, — რაღაც ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა: ძალიან უსიამოვნო შესახედაობის აღმოჩნდა „სტუმარი".

წინათგრძნობა გაუმართლდა დირექტორს. ის იყო კაბინეტში მყოფი თანამშრომლები ოთახიდან გავიდნენ, რომ „სტუმარმა" მკერდზე პისტოლეტი მიაბჯინა.

— ქუჩაში რომ გავდიოდით, გავიარეთ ხალხით სავსე დერეფანი. — თქვა კვირიკაძემ. — დამტყვევებელი უკან მომყვებოდა და ჯიბიდან პისტოლეტიან ხელს არ იღებდა, შევთავაზე ჩემს გვერდით ევლო, რადგან ვინმეს რომ შეემჩნია რაღაც უჩვეულო, ბანდიტს შეიძლება სროლა აეტეხა და მარტო მე არ დავშავდებოდი.

ქუჩაში მას ელოდებოდა არანაკლებ უცნაურად ჩაცმული ჯუჯა კაცი. სწორედ მან წაუყენა დირექტორს სასტიკი პირობა: „დედაშენი ჩვენს ხელთაა. თუ მოთხოვნას არ შეასრულებ, მოვკლავთ და შენც მიგაყოლებთო".

დედა-შვილის განთავისუფლებისათვის მოითხოვეს გამოსასყიდი — 20 ათასი მანეთი.

— ამდენი ფული სად უნდა მეშოვა, — თქვა შემდეგ კვირიკაძემ. — ამიტომ ვუთხარი: აქვე გამათავეთ, ამ უკაცრიელ სკვერში. ვიფიქრე, ყოველ შემთხვევაში დედაჩემს და ცოლ-შვილს მაინც გადავარჩენ-მეთქი.

შლაპიანმა „შეჰბრალა". მიხვდა, რომ პისტოლეტდამიზნებული კაცი ასე იქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სრულ სიმართლეს ამბობს და ამიტომ გამოსასყიდი გაანახევრა. „ბოლოს და ბოლოს, გყავს მეგობრები, ამხანაგები, ჰოდა, ისინი დაგეხმარონ. გაძლევთ ამისათვის მხოლოდ ერთ საათს", — წამოაყენა მან ახალი პირობა.

დირექტორი და „სტუმარი" ქარხანაში დაბრუნდნენ, „ჯუჯა" ქუჩაში დარჩა. მდივანი, რომელსაც ეჭვიც კი არ აუღია, გააფრთხილეს, კაბინეტში არავინ არ შემოუშვაო.

— დაახლოებით თორმეტ საათზე დირექტორის კაბინეტში გამომიძახეს, — გვიამბობს ქარხნის თანამშრომელი ნუგზარ ჩინჩალაძე. — დირექტორი მიდგმულ მაგიდასთან იჯდა პირქუში სუბიექტის პირდაპირ. მას მღელვარების ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა სახეზე. მომეჩვენა, თითქოს ელავდა „ნათესავი" — ასე გამაცნო მან სტუმარი. მაგრამ მალე გავერკვიე: „ნათესავს" სიტყვაც კი არ ესმოდა ქართულად. ირაკლი იასონის ძე მხოლოდ რუსულ ენაზე მომმართავდა. მაგრამ მისი იმ თხოვნის შესრულება, რომ ზუსტად ერთ საათში კაბინეტში ფულით დავბრუნებულიყავი, შეუძლებელი იყო. ბევრი არც მიფიქრია იმაზე, თუ ვისთვის მიმემართა დახმარებისათვის.

— ნუგზარ ჩინჩალაძემ 12 საათსა და 20 წუთზე დამირეკა, — ამბობს ბორის ივანოვი. — ერთმანეთს ქუჩაში შევხვდით. წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა.

— ივანოვმა გაგვაფრთხილა, სერიოზულ საქმეზე მივდივართ, იარაღი წამოიღეთო, — იხსენებს ნერსესიანი. — და მხოლოდ მანქანაში გვიამბო ბანდიტისა და მისი ტყვის ამბავი. როგორ მოვაწყობდით ოპერაციას, ჯერ კიდევ არ ვიცოდით.

— მაგრამ ეჭვი არ გვეპარებოდა, — თქვა შ. წენგუაშვილმა — რომ ასე თავხედურად, თითქმის აშკარად მოქმედ ბანდიტს შეეძლო მუქარა შეესრულებინა. ფულს დადგენილ დროზე თუ არ მიიღებდა, იარაღს გამოიყენებდა. ის კი, რომ იარაღი ჰქონდა, თავიდანვე ცხადი იყო.

— ქარხანაში არავინ არ უნდა მიხვედრილიყო, რომ მილიციიდან ვიყავით, — თქვა ივანოვმა, — შეიძლება ამტყდარიყო პანიკა, ეს კი დააფრთხობდა დამნაშავეს. თითქოს განგებ, დაცვამ შეგვაჩერა. ვუთხარით სამინისტროს მუშაკები ვართ-მეთქი. მდივანმა მშვიდი ხმით გვითხრა: მთხოვეს, კაბინეტში არავინ არ შევუშვა. როგორ შევეღწია კაბინეტში, რა საბაბით? დათქმული ვადის გასვლამდე თხუთმეტი წუთიღა რჩებოდა.

— მაშინ მოიფიქრა სწორედ ბორისმა ინსცენირება აყროლებული ხორცით, — თქვა ნერსესიანმა. — როლები ასე გავინაწილეთ: ბორისი და შალვა მოტყუებული მყიდველები არიან, მე — ქარხნის ექსპედიტორი, რომელმაც პასუხი უნდა ვაგო უფროსების წინაშე. შეცდომის უფლება არ გვქონდა. ერთი პატარა შეცდომა და ბანდიტი არავის დაინდობდა. ოპერაცია დავასრულეთ 12 საათსა და 52 წუთზე.

— მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ დამნაშავენი ორნი იყვნენ, — გვიამბობს ივანოვი. — ბანდიტი წენგუაშვილს, ჩინჩალაძესა და კვირიკაძეს დავუტოვეთ და ქუჩაში გავედით. მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა. ქარხნის პირდაპირ ტაქსი იდგა და შიგ მგზავრი შევნიშნეთ.

— ჩვენ ვითომ გაჩერება გვინდოდა, შემხვედრ მანქანებს ხელს ვუწევდით, — გვიამბობს ნერსესიანი. ისინი არ გვიჩერებდნენ, რადგან შეგნებულად იმ მანქანებს ვუწევდით ხელს, რომლებშიც მგზავრები ისხდნენ. ბორისმა დაიძახა: „იქითა მხარეს გადადი, იქნებ იქ გააჩეროო". მოპირდაპირე მხარეს მდგარი ტაქსის მგზავრმა უარი თქვა თანამგზავრებად წავეყვანეთ, მაგრამ მასთან კონტაქტი სასარგებლო გამოდგა. მეგობარს ველოდები, საცაა მოვაო, — უარი მითხრა „ჯუჯამ". ივანოვმა უსიტყვოდ გამიგო და დინჯად გამოემართა მანქანისკენ. ორმა უხმაუროდ გავაკეთეთ ჩვენი საქმე. ტაქსისტი არაფერ შუაში იყო. როგორც შემდეგ გაირკვა, თავიანთი მსხვერპლის შესახებ ცნობებს ბანდიტები სამისამართო ბიუროში იგებდნენ.

— მაგრამ მძღოლიც შეიძლებოდა გამხდარიყო მათი მსხვერპლი, — ვარაუდობს ივანოვი. — ფულის მიღების შემდეგ ისინი აპირებდნენ ამ მანქანით გაეყვანათ ქალაქგარეთ თავიანთი ტყვე. დირექტორსა და ტაქსისტს ერთი ბედი ეწერათ — ზედმეტი მოწმენი ბანდიტებს არ სჭირდებოდათ.

— ხელიდან რომ დაგვსხლტომოდნენ, — ჩაერთო საუბარში წენგუაშვილი, — მათი პოვნა ძალზე გაჭირდებოდა. ისინი საოცრად იცვლიდნენ გარეგნობას. როდესაც „ჯუჯას" მოაშორეს გრიმი, „გაასწორეს", იგი აღმოჩნდა მეტად წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი. საბედნიეროდ, ჩვენს ქალაქში ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი ცდა განეხორციელებინათ თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვები.

— მაგრამ ჩვენ შევძელით გაგვეხსნა მათი სხვა დანაშაულობების ხლართი, — გვაცნობს ძიების დეტალებს ივანოვი — ერთ-ერთი დაკავებული ბანდიტის სინდისზეა საზარელი დანაშაული — ავტოინსპექტორის მკვლელობა. ამ საქმეს შარშანდელი გაზაფხულიდან იძიებს მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო. მაგრამ ძიება მცდარი გზით მიდიოდა — მოწმეები მკვლელს აღწერდნენ, როგორც კავკასიური გარეგნობის მამაკაცს. ახლა უკვე ეჭვი აღარ არის: ბანდიტი პარიკითა და გრიმით იყო შენიღბული. მის წინააღმდეგ უცილობელი სამხილებია: მისთვის ჩამორთმეული პისტოლეტი იყო სახელმწიფო ავტოინსპექციის დაღუპული ოფიცრის სატაბელო იარაღი. მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროდან ამხანაგები უკვე იყვნენ თბილისში. ბანდიტმა აღიარა მკვლელობა.

— მაშასადამე, თქვენ საქმე გქონდათ გამოუსწორებელ დამნაშავესთან, და ლაბორატორიაში აღებული აყროლებული ხორცის ნაჭრით ექსპრომტი შეიძლებოდა თქვენთვის ტრაგიკულად დამთავრებულიყო?

— შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო, ქარხნის დირექტორის ვაჟკაცური თავშეკავება რომ არა. შეიარაღებული დამნაშავის პირისპირ ირაკლი კვირიკაძეს თავი ისე თავისუფლად და აუღელვებლად ეჭირა, რომ ბანდიტმა სიფხიზლე მოადუნა. დირექტორთან საუბარში გართულმა ჯერ კიდევ ჩვენს მისვლამდე, გადაწყვიტა ჯიბეში ჩაედო პისტოლეტი, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს შემართული ეჭირა. ამან, რა თქმა უნდა, ამოცანა გაგვიადვილა.

— ახლა კი, ასეთ კითხვას დაგისვამთ: თუ საიდუმლო არ არის, რაზე ჩურჩულებდით დირექტორის კაბინეტში შესვლამდე?

— მე სამი მოზრდილი ვაჟი მყავს, სამველ ნერსესიანს — ორი, შალვა წენგუაშვილს კი სამი პატარა გოგონა ჰყავს. გადავწყვიტეთ, რომ კაბინეტში ის ბოლო შემოვიდოდა. კაცმა არ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი: მამა კი გოგონებს უფრო სჭირდებოდათ...

თ. გვაზავა,
ი. გორელოვი,
(საქინფორმის კორ.).

ყაზახი

საჭადრაკო? — სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. რიგაში მიმდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეთოთხმეტე ტურში გავრიკოვმა დაამარცხა ეინბორნი, ლერნერმა — გურგენიძე, დაზავდნენ ჩერნინ-ლპუტიანი, ტუკმაკოვ-ა. პეტროსიანი, ფსახის-გელერი, მიხალჩიშინ-ბალაშოვი, სვეშნიკოვ-რაზუვაევი. გადაიდო კუპრეიჩიკ-გურევიჩის, სოკოლოვ-სმაგინის და აგზამოვ-გულკოს პარტიები. შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია გავრიკოვი — 8,5 ქულა და 1 გადადებული შეხვედრა. თბილისელ გურგენიძეს ჯერჯერობით 5,5 და 2 გადადებული პარტია აქვს.

ფრენბურთი. იტალიის ქალაქ ფორლიში დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ნაწილი ქალთა გუნდებს შორის. თასი მოიპოვა ალმა-ათის ადკ-მ რომელმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგო იტალიის ქალაქ რავენის „ტეოდორას" ანგარიშით 3:1. ფინალური ნაწილის პირველი ორი მატჩიც ალმაათელებმა მოიგეს (ორივე — 3:0). ამ შეჯიბრებაზე მეორე ადგილი დაიკავა „ტეოდორამ", მესამე — ბუდაპეშტის „ტუნგსრამმა".

ველოსპორტი. კუბის გზებზე გრძელდება ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა. მეექვსე ეტაპი (116 კმ) მოიგო კუბიელმა ასიატ საიტომა — 2:12.25. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა სსრ კავშირის ნაკრები, ხოლო პირადში 6 ეტაპის ჯამით ლიდერია ხარკოველი ალექსანდრე ზინოვიევი. საბჭოთა მრბოლელს მისი უახლოესი მეტოქე ჰარდი გროგერი 2 წუთითა და 11 წამით ჩამორჩება. საბჭოთა ნაკრები კი 9 წუთით და 17 წამით უსწრებს გდრ-ის ნაკრებს.

ჩოგბურთი. მოსკოვის ღია ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის წარმომადგენელმა 20 წლის იულია სალნიკოვამ. იგი ისევე, როგორც შარშან ახლაც აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. სალნიკოვა უძლიერესი იყო ერთეულთა (ფინალში დაამარცხა კიეველი ნინო ავდეევა — 6:4, 6:2), წყვილთა (ვიქტორია მილვიდსკაიასთან ერთად მოუგო მოსკოველ იულია კაშევაროვას და კიეველ ელენე რიჟიკოვას — 6:2, 6:7, 6:3) და შერეულ წყვილთა (რიგელ გირსტ ძელდესთან ერთად სძლია კიეველებს ნინო და გენადი ავდეევებს—6:2, 6:1) თანრიგებში. ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა მოსკოველმა კონსტანტინე პუგაევმა, რომელმაც ფინალში მოუგო ძელდეს — 6:3,7:5. ვაჟთა წყვილებს შორის ფინალური შეხვედრა რიგელებმა ძელდემ და ალვის ზილგალვისმა მოუგეს პუგაევსა და ანდრია ოლხოვსკის — 7:6, 6:3.

ფეხბურთი. წარმატებით გამოდის იტალიაში დიდ საერთაშორისო ტურნირზე მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდული გუნდი. მათ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს თავის ქვეჯგუფში. ქალაქ სპეციაში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს იუგოსლავიის „სარაევოს" თანატოლები. მანამდე კი მათ ერთნაირი ანგარიშით 1:0 დაამარცხეს იტალიის გუნდები „ნაპოლი" და „მილანი". მოსკოვის „სპარტაკელებმა" თავის ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

რედაქტორი **გ. ბედინეიშვილი.**

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; ხოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 3-34-44 ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-32.

მოსკოვი

18 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მხატვრული ფილმი „რკინის ნაკადი". 11.15 — მოგზაურთა კლუბი. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სოფლის ჰორიზონტები. 16.40 — დედამიწაზე, ცაში და ზღვაში. 17.10 — ახალი ამბები. 17.20 — გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლებისაგან ბუდაპეშტის განთავისუფლების 40 წლისთავისათვის. 17.40 — შუბერტი — საფორტეპიანო კვინტეტი. 18.25 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 19.10 — ვ. ი ლენინი — მოსკოვის საბჭოს დეპუტატი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — მულტფილმი. 20.20 — მხატვრული ფილმი „ადამიანის ბედი". 22.00 — „ვრემია". 22.45 — სერგი მიხალკოვის შემოქმედებითი საღამო. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — ასტრონომია. მეათე კლასი. 10.05 და 13.40 — გერმანული ენა. 11.05 — ფიზიკა. პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. 11.35 და 12.40 — ზოგადი ბიოლოგია. მეცხრე კლასი. 12.05 — დედის სკოლა. 13.10 — ისტორია. მე-7 კლასი. 14.10 — იცით თუ არა კანონი? 15.00 — ა. ნ. ოსტროვსკის ცხოვრება. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — მეტი უკეთესი საქონელი. 20.15 — უკრავს გიტარისტი ბ. კიმი. 20.30 — თანამეგობრობა. ტელეჟურნალი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.45 — „არევიკი". მეორე სერია. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

18 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.30 — „მოამბე". 10.05 — ძველებური მუსიკის კონცერტი (განმეორებით). 10.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთ კვანძში". 11.15 — „მოგზაურთა კლუბი". 12.15 — სატელევიზიო ფილმი „როგორ შეიძლება ცირკი არ გიყვარდეს". 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია ა. სულაქველიძე). 13.30 — ახალი ამბები. 13.45 — სატელევიზიო ფილმი „წითელი აქატი". 14.10 — „იცით თუ არა თქვენ კანონი?" (მ.). 15.00 — მასწავლებლის საათი. გეომეტრია (სტუდიაშია თ. ბეიტრიშვილი). 15.30 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუბაჩური ქორწილი". 16.00 — საღამოს გადაცემათა პროგრამა. 16.05 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე).

ჩვენს ტელეეკრანზე

16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.45 — კინოდარბაზი „ცისკარა" — ქართული მხატვრული ფილმი „ლონდრე". 17.55 — საბჭოური ცხოვრების წესი — „სოფლის თავკაცი". — სევერიან მუხაშავრია (გამეორებით). 18.40 — „საქართველოს სსრ „წითელი წიგნი". 19.10 — „არჩევნების შესახვედრად". 19.35 — „ჩვენ და კანონი" — საუბარი მეხუთე. 20.00 — „მოამბე". 20.30 — კინოჟურნალი. 20.40 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი". „ალსარება". 22.00 — „ვრემია". 22.45 — მხატვრული ფილმი. 00.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შრომის სიმფონია". 17.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები — „ერთ ოჯახში", „კონკურსი". 18.10 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია.

თეატრი

18 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჰორგი და ბესი; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ღია შუშაბანდი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე; თბილისის სახელმწიფო დრამატული — საბრალდებო დასკვნა (21-ე აბონ. მეორე წარმ.); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამიტოვეთ; მინიატიურების სახელმწიფო — არ შეგირიგდები; მეტეხის — ჭინჭრაქა; ფილარმონია — მღერის რ. კაკაბაძე — ბარიტონი (კონსერვატორიის მცირე დარბაზში).